


წიგნაკრები საქართველო

ლიტერატურული საქართველო * LITERATURULI SAQARTVELO * ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО

17 დეკემბერი 2021წ. №34 (4033) გამომცემის 91-ე წელი ფასი ფასი 1 ლარი



თამარ კალაშვილი

ყნიყვანყოფილება ყმარა

რომ არ მოვეფეროთ დიდხანს, მზესაც მოაკლდება სითბო, მკვდარი ქართველები გვიყვარს, მათ არ უცოცხლიათ თითქოს. ძმობას – გაჯერებულს ფიცით, განა ვინარჩუნებთ დიდხანს, შეძლება, გიყვარდეს, ვიცით, ვპასუხობთ, ვინც არას გგვითხავს. ზოგჯერ სიავით და შუღლით, ერთურთს ვეურჩებით, ვურცხვობთ, სშირად ერთმანეთი გვძულს და უფრო ვეფერებით უცხოს. არა, ქართველებო, არა, ერთურთს შევებიდოთ უფრო, უსიყვარულობა კმარა, ჩვენში თუ უფალი უფლობს. რამდენი უცხოელი ერი, ჩვენს ჯიშ-ნარმოშობას ნატრობს, მუდამ შინა გვყავდა მტერი, გარეთ დავეძებდით პატრონს.

70 წლის თემურ ჩაქვანიძის

ბევრჯერ ჩავთვალე თავი ნასულად, ვინ თქვა, ცხოვრება მიდის ტაატიტ? შაი, დედასა, რა დრო გასულა, კარს მიკაკუნებს ს ა მ ც დ ა ა თ ი... ზამთარში შეველ გაზაფხულიდან ვერ დავუნყვილე მხარი აპრილებს, და ძველებურად – დაჭრილ გულიდან ლექსები ველარ ნამოვაფრინე...

რაც ვერ ვთქვი, მახლას იქნებ, სხვამა თქვას, ისევ ციმციმებს ჩემი სანთელი... დროის ყაჩაღი დრომ თუ დამარქვას, სხვამ უპასუხოს: იყო ქართველი!..

ქეთი სინაშვილს

სადღაც მინახავს თითქოს ეგ ღიმი, გული მშვიდდება – დღევას არ ატანს. მაჯას მისინჯავს სათნო ექიმი და მისი სითბო ავსებს პალატას...

►► დასასრული 88-8 გვ.



ანა კაკუნაშვილი

საქართველოს სხვა ქალაქების მსგავსად, თელავიც მრავალსაუკუნოვან ისტორიაზე დაყრდნობით ცდილობს არა მხოლოდ შეინარჩუნოს, არამედ განავითაროს ძველი ტრადიციები და სიახლის სხივები შეიტანოს მოქალაქეთა ცხოვრებაში.

ერთი შეხედვით, სიმშვიდის ქალაქში მართლაც რომ ყველაფერი დუმს. თანამედროვე ცხოვრების სტილიც კი ვერ არღვევს აქაურ მყუდროებას. ქალაქის ატმოსფეროს, ცხადია, მისი მკვიდრი აყალიბებენ. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, თელავის მყუდროება კახებმა შექმნეს და პირიქით, თელავის აურამ განაპირობა აქაურების დინჯი ბუნება.

წინა წერილში აღვნიშნე, რომ ყველა ისტორიული ქალაქი ცოცხალი სულის მატარებელია. საბედნიეროდ, რეაბილიტაციისას ჩვენს ქალაქს ისტორიული იერი შეუნარჩუნდა, რაც საშუალებას გვაძლევს შევიგრძნოთ მისი ცოცხალი სული. სიძველეს დიდებულებას

სძენს კავკასიონის აზიდული ქედები და მხრებგამოლილი ალაზნის ველი, რომელიც ქალაქის თითქმის ყველა წერტილიდან პანორამულად იშლება ჩვენ თვალწინ. ეს გარემო, გარდა ესთეტიკური სიამოვნებისა, მოქალაქეობრივ პასუხისმგებლობასაც გვაკისრებს.

კულტურული ცხოვრება მხოლოდ ისტორიული ძეგლების რეაბილიტაციით არ გამოიხატება. სადღეისოდ თელავში არაერთი მნიშვნელოვანი კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულება არსებობს: „თელავის ელენე ახვლედიანის სახელობის სამხატვრო სკოლა“; „სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულების ნიკო სულხანიშვილის თელავის N1 და N2 სამუსიკო სკოლები“. ამასთან ერთად აქტიურად ფუნქციონირებენ კერძო საბავშვო სტუდიები: „თელავი“ ნაზი ჩიდრაშვილის და „სოლეი“ ვერიკო სახეიშვილის ხელმძღვანელობით. „თელავის წმ. ძმები კარბელაშვილების სახ. ქართული ტრადიციული მუსიკის სკოლა“ ბექა და გოჩა

►► დასასრული 88-3 გვ.

პოეზიაში დაბრუნება

გ. არგვაშვილი პ. ხარაწაშვილი

83.5

ნაწყვეტი რომანიდან

გურამ ბათიაშვილი

83.6

„სარკველი“ – ნოველა

გი დჯოგვაშვილი

83.7

უსასრულობის ოთხი ღამე

ლეილა ხვახიანი

83.10

ფანატიკური ნიაღვრეები პიკაროლური ნინსნრაბით

თამაზ გურბაშვილი

83.12

„დახედე, ერთი, რაგან სომ არ ვაფუჭებ“

გამომგვიდობა ლევან ცუცქერიძისთან

ვანტანგ ღვინძია

უძიძივესი წელი ჰქონდა ქართულ ხელოვნებას. სამარადისო საცხოვრისში გადაინაცვლეს ჩვენი ხელოვნების ტიტანებმა: კახი კავსაძემ, ზურაბ (პიკო) ნიჭარაძემ, დიმიტრი ერისთავმა, გოგი წერეთელმა, რეზო გაბრიაძემ, ანზორ ერქომაიშვილმა, ახლა კი ლევან ცუცქერიძემ.



ლევან ცუცქერიძე განსაკუთრებული მოვლენაა ქართულ სახვით ხელოვნებაში. ის თხემით ტერფამდე ეროვნული მხატვარია თემატიკით, განწყობილებებით, სიუჟეტებით, პლასტიკით. მისი ცხოვრება ხატვა იყო. დღე ხატვით იწყებოდა და ხატვითვე მთავრდებოდა. ასეთი სისტემა, „მონესრიგებული“ მხატვარი კი არა, ადამიანი არ მგულდება საქართველოში. ლევანმა ზუსტად იცოდა, რა უნდა ეკეთებინა დღეს, ხვალ, ერთი თვის შემდეგ. ყველა მის სურათს ნინ უძღვის ზუსტი ფორესკიზი. ლევანი ცხოვრების წესით ძალიან ჰგავდა რენესანსის ოსტატებს.

მან იმედი გაუცრუა ნიპოლის ტებსა და ეპიგონებს, რომლებიც მრავლად არიან არა მხოლოდ მხატვრობაში, არამედ, საერთოდ, ხელოვნებაში. უპირატესად ეს ის ადამიანებია, რომლებიც მწყრალად არიან - პროფესიასთან, ნიჭთან, რომლებიც აქტიურად ამკვიდრებენ აზრს - რა დროს ქართული ხელოვნება, ვერ ხედავთ, რა ხდება სამყაროში. ბევრს მიაჩნია, რომ მთავარია ყურადღების მიპყრობა, პოპულარობა და კომერცია. ვისაც ჰგონია, რომ ტრადიცია და თანამედროვეობა, ეროვნული და ინტერნაციონალური შუთავსებადი ცნებებია, უნდა ნახოს ცუცქერიძის თუნდაც ერთი ნამუშევარი. ლევანის მხატვრობა უნივერსალურია, ყველა დროისაა. ის XV საუკუნეცაა, XX საუკუნეც და XXI-ც. ლევანს აქვს ცნობილობის უმაღლესი ხარისხი. მის ნამუშევარს მილიონში გამოარჩევს არაპროფესიონალიც კი.

რა თანრია ეს? - ფერწერა? გრაფიკა? ამას ვეკითხებოდი ლევანს დიდი ხანი - ხან რას მეუბნებოდა, ხან რას.

ჩემი აზრით, ლევანის მხატვრობა რალაც შუაშია გრაფიკასა და ფერწერას შორის.

მისი კომპოზიციები იმდენად დახვეწილი და ზუსტია, რომ ვერც ერთ ფიგურას, დეტალს, მოძრაობას ადგილიდან ვერ დაძრავის ფაქტი, რომ ლევანმა შექმნა ნიგნი „სავანი სივრცეში და მისი კონსტრუქცია“, მიაწინებს მის ფილოსოფიაზე, სისტემაზე. ეს ნიგნი ხატვის მეცნიერული სახელმძღვანელოა.

სახიერი, განსაკუთრებული და თავისთავადია ლიტერატურული ნაწარმოებების დასურათება. ლევანმა ყველა ლიტერატურულ თუ პოეტურ ნაწარმოებს საკუთარი გრაფიკული ვერსია მოუძებნა, თავისი ლიტერატურა შექმნა. უნიკალურია „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციები, ვაფა-ფშველას სამყარო, სწორედ რომ „სამყარო“ და არა პერსონაჟები, გოეთეს „ფაუსტი“, „დათა თუთაშისა“ ილუსტრაციები, საბავშვო ნიგნები და, რა თქმა უნდა, სიონის ფრესკები.

ლევანმა კარგად იცოდა რელიგიის ისტორია, რენესანსის ხელოვნება, კედლის მხატვრობა, ქართული ფრესკები, მაგრამ ის ისტორიის უღელს არ იდგამდა.

1977 წელს ლევანს ბრწყინვალე გამოფენა ჰქონდა „ცისფერ გალერეაში“. იმ დღეებში საქართველოში სტუმრად იმყოფებოდა დიდი გერმანელი მოქანდაკის, ვილჰელმ ლემბრუკის შვილი, გამოჩენილი არქიტექტორი მანფრედ ლემბრუკი, მამამისის მუზეუმის პროექტის ავტორი. ერთად ვნახეთ ლევანის გამოფენა. ალტაცებული იყო: მხატვარი იკვლევს ადამიანს, მის ხასიათს და, რაც მთავარია, პოულობს მას, საოცრად ქართულია პლასტიკა, საერთოდ ყველაფერი; შესანიშნავი საჩუქარი გამოიკეთე, ეს აღმოჩენააო, - ბრძანა ბატონმა ლემბრუკმა.

ხელოვნებათმცოდნეებს უყვართ მასწავლებლების აღმოჩენა. თუ ეს რაიმეს ნიშნავს, ლევანის მასწავლებლები არიან ქართული ფრესკა და რენესანსის ეპოქის გენიოსები.



ლევანისათვის უცხოა „ფილოსოფიური ბუნდოვნება“, არც ტექსტური ახსნა სჭირდება მის ნახატებს. ის არასდროს ამბობს „მე ასე ვხედავ“. მას არ სჭირდება პოზიციების შემაგრება, ლევანი პირისპირ დგას მხატვრობასთან დიდი მიზნებით. ის კომპოზიციის დიდოსტატია; საოცარი ცუცქერიძისული წესრიგია მის კომპოზიციებში, იმდენად თავისთავადი, მყარი და ამავე დროს ზუსტი და კატეგორიულია, არავითარი სურვილი არა გაქვს საკუთარი ინტერპრეტაციისა.



არისპირ დგას მხატვრობასთან დიდი მიზნებით. ის კომპოზიციის დიდოსტატია; საოცარი ცუცქერიძისული წესრიგია მის კომპოზიციებში, იმდენად თავისთავადი, მყარი და ამავე დროს ზუსტი და კატეგორიულია, არავითარი სურვილი არა გაქვს საკუთარი ინტერპრეტაციისა.

ლევანი ორი წელი ჩემი პედაგოგიც იყო პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, ყველა სტუდენტს ჩამოუვლიდა, მისცემდა მითითებებს და თვითონ იწყებდა ხატვას, იმავე თაბაშირის თავს თუ ცოცხალ ნატურას ხატავდა. ეს იყო ეფექტური პედაგოგიური მეთოდი.

ლევანის ერთ-ერთი გამოფენა ამ რამდენიმე წლის წინათ ლიტერატურის მუზეუმის დარბაზებში მოეწყო. ჩემი პორტრეტის მიტანა მთხოვა. მივუტანე. ვათვლიერებ გამოფენას, ვერ ვიპოვე. ფოიეში წყლის დასალევად მივაღებე ფურშეტის მაგიდას, აგერ არ კიდაი სხვა ადგილი ვერ გაიმეტე-მეთქი, „ესაყვედურობ“ ლევანს. საუკეთესო ადგილი ეგ არის, გამოფენაზე ნახევარი ხალხი არ შედის, ფურშეტის მაგიდასთან ყველანი მოდიან, შემოიკლეს ხელში ქალბატონებმა, გაგვაცანი ეს სიმბათიური კაციო, დარბაზის კედლებზე ვინ შეგამჩნევდაო? - რას ვეტყვოდი, მართალი იყო.

ლევანი და მე ხშირად ვეხმანებოდით ერთმანეთს. „არ უნდა დამხედო, იქნებ, რამეს ვაფუჭებ“-ო, ასეთი იყო მისი პირველი ფრაზა. ამ „გაფუჭების“ ამბავი ასეთია: ერთ-ერთი სტუმრობის დროს ლევანმა რამდენიმე ახალი ნამუშევარი მაჩვენა. ერთ-ერთზე სამი ტანადი ყმანვილია, ძალიან დინამიკური კომპოზიციაა, ერთს კი ხელში ვარდი უჭირავს, არადა, ხელის მტევნები, როგორც ყოველთვის, ლევანთან ძალიან მეტყველია. ვეუბნები, ეს ყვეელი ამ შესანიშნავ კომპოზიციას აუბრალოებს-მეთქი. მართალი ხარ, მეც მანუხებსო. მოფხიკა პასტელი, დაადო ახალი ტონი და ვარდი გააქრო. ა, კაცო, ასე არ ჯობს, სულზე მოგისწარი-მეთქი. ამის შემდეგ ჩვენს ურთიერთობაში მყარად დამკვიდრდა ტერმინი „დახედე, ერთი, იქნებ რამეს ვაფუჭებო“.

დიდი ღვინძია გეგორიალისთვის

საქართველოს პრემიერ-მინისტრს, ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს

ქალაქ თბილისის მერს, ბატონ კახა კალაქის

ბატონო ირაკლი, ბატონო კახა,

ვეხმანებით თქვენს ბრწყინვალე ინიციატივას ვაკის პარკის ტერიტორიაზე გმირების მემორიალის დადგმის თაობაზე და გთავაზობთ ჩვენს მოსაზრებას.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ამ ოციოდე წლის წინათ ცნობილია გამომგონებელმა თამაზ ქვლივიძემ დედაქალაქის მერიას არაერთხელ შესთავაზა შესანიშნავი იდეა: გმირთა მოედანზე ან თუნდაც ზოოპარკის ტერიტორიაზე, მისი გადატანის შემთხვევაში, აღიმართოს დავით აღმაშენებლის 36-წლიანი გმირული მოღვაწეობის აღსანიშნავად 36-საფეხურიანი კიბის მემორიალი - დაწყებული 1-ლი საფეხურით, 1089 წლიდან, დამთავრებული 36-ე საფეხურით 1125 წლამდე.



მაგალითად: 1-ელ საფეხურზე წარწერა: 1089 წელი - 16 წლის დავითის გამეფება; ამ დროიდან მან საკუთარ თავს აუკრძალა, დატკეპს მეფური ცხოვრებით; მე-2 საფეხურზე: 1090 წელი - დაამკვიდრა ღირსეულთა ამალღებისა და უღირსთა დამდაბლების მმართველობის სტილი; 32-ე საფეხურზე: 1121 წელი - დიდგორი; ძლევაი საკვირველი; 33-ე საფეხურზე: 1122 წელი - 400 წლის ტყვეობაში მყოფი თბილისის ქართველებისთვის დაბრუნება; 36-ე საფეხურზე: 1125 წელი - 53 წლის დავითის გარდაცვალება. აქ მემორიალის აღმართვა სიმბოლურია იმითაც, რომ ადგილს ეწოდება გმირთა მოედანი და დგას გმირთა მემორიალი, იქვე, ზოოპარკის ადგილას, გმირთა გმირი მეფის მემორიალის დადგმით და გარშემორტყმული სახელოვანი მეფეებით და გმირებით კი შეიკვრება ერთიანი კომპლექსი. თამაზ ქვლივიძე იდევს ჩინებულს ხდის იმითაც, რომ ერთგულების ფიცი ახლად არჩეულმა ქვეყნის პრეზიდენტებმა სწორედ აქ, 36-ე საფეხურზე, მეფეთა მეფის მემორიალზე დადონ.

სიამაყით აღსანიშნავია ისიც, რომ ამ იდეას პრესაში გაფლერებისთანავე 2010-2014 წლებში მოსახლეობისგან მოჰყვა გამოხმაურებები: „თვალსაჩინო მაგალითი მომავალი თაობებისთვის“ და თანხების გაღების სურვილიც.

ცხადზე უცხადესია, რომ ამ დიდი, გადაუდებელი, ეროვნული და საშვილიშვილო მისიის შესრულებას სჭირდება სახელმწიფოს კეთილი ნება. სასიხარულოა, რომ თქვენ კეთილ ნებას უკვე იჩენთ.

დარწმუნებული ვართ, რომ 2025 წლის 25 იანვრისთვის, აღმაშენებლის გარდაცვალების მე-90 წლისთავზე ეს საშვილიშვილო საქმე გამარჯვებით დაგვირგვინდება და ოქროს შარავანდედით შემოსავს ჩვენს სახელოვან წინაპრებს. პანორამა საქართველოს გახდის კიდევ უფრო მეტად მიმზიდველს, რადგან განვითარებულ ქვეყნებში მოწყობილ მემორიალებს, პატრიოტულ-ემოციური დანიშნულების გარდა, მილიონობით ტურისტის სტუმრობის დატვირთვაც აქვს.

მემორიალს არა მარტო ესთეტიკური ტკობის დანიშნულება ექნება, არამედ ის გახდება ერის აყვავების

საწინდარი, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობის სულიერი ამალღების ქვაკუთხედად დამკვიდრდება, რომლის გარეშეც ქვეყნის სტაბილური განვითარება მუდამ გადაუღალავა წინააღმდეგობით იქნება დაკავშირებული. მისასალმებელია თამაზ ქვლივიძის შემდეგი მოსაზრებებიც: თბილისში კახა კალაქის ინიციატივით 9 ახალი პარკი რომ ეკეთდება, ერთ-ერთი პარკი რუსთაველის აფორიზმებით და სტრიქონებით უხვად დამშვენდეს და მას „ვეფხისტყაოსნის პარკი“ ეწოდოს; კიდევ ერთი პარკი კი მგოსნების ძეგლებით (სურათებით) დავამშვენოთ და მან პოეტების პარკის სახელი ატაროს, სადაც მუდამ კეთილშობილება დაისადგურებს.

პატივისცემით: პროფესორი ელბერდ ბატიაშვილი, პროფესორი ვაფა შუბითიძე, პროფესორი სოსო სიგუა, პროფესორი კონსტანტინე მჭედლიშვილი, აკადემიკოსი როინ მეტრეველი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი გიორგი კვეციტაძე, ჯუშუბერ პატიაშვილი, თბილისის ი. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი გიორგი შარვაშიძე, აკადემიკოსი ვალერი ასათიანი, აკადემიკოსი რამაზ ხუროძე, პროფესორი ამირან საყვარელიძე, პროფესორი მურმან გულენიძე, პროფესორი იური ქადაგია, პროფესორი ზვიად კვიციანი, პროფესორი თამაზ ხმელთაძე, პროფესორი იგორ კვეცილაძე

როგორ ვნერ?

„როგორ ვნერ?“ – მარადიული კითხვა, რომელზეც არ პასუხობენ მაშინ, როდესაც შეკითხვა დაისმის; როგორ იქმნება, როგორ იქსოვება, როგორ იკრება ტექსტი, ფრაზა, სინტაქსი, აზრი, იდეა, ამაზე არ საუბრობენ მაშინ, როდესაც ვერა...


როგორ იბადება ავტორი ნაწარმოების სულიდან, როგორ ქმნის ტექსტი თავის ავტორს, ამაზე არ ლაპარაკობენ მაშინ, როდესაც პროცესი მიმდინარეობს. მაგრამ ამაზე ყოველთვის ფიქრობენ.

ფიქრობენ და თავიანთ აზრებს მხოლოდ მაშინ ამხელენ, როდესაც არ ვერა...

მოცალეობის ფაზა.

ნათელხილვის მომენტში.

წერენ ასე:



დათო გორგიჯანიძე
გაშინ მიხვდა...

– სინამდვილეში „მწერალი“ მაშინ გაჩნდა, როცა აღმოვაჩინე, რომ მირჩევნია, დავწერო, ვიდრე ვილაპარაკო. ბავშვობაში რაღაც დავაშავე, ახლა არც კი ვიფიქრებ, რომ ეს დანაშაული იყო, მაშინ მეჩვენებოდა, რომ ეს იყო მძიმე დანაშაული. დედაჩემმა მთხოვა, ყველაფერი მომიყვი და გააბატონო. მაშინ გავაცნობიერე, რომ მე ამ ამბის მოყოლა მირჩევნია წერილობით. წერის პროცესში კი აღმოვაჩინე, რომ გარდა ნამდვილი ამბისა, კიდევ სხვა რამის მოყოლაც მინდა, სხვა ადამიანების ჩართვა.

დანაშაული ითვალისწინებდა გზას სკოლიდან სახლამდე და ამ მოკლე მონათხრობში ჩნდებოდნენ ვიღაც პერსონაჟები, ვინც გზაში მხედებოდა; მელაპარაკებოდა, ვხედავდი. დედაჩემს ეს ხალხი არ აინტერესებდა, მაგრამ ისინი შემოდიოდნენ. მაშინ მიხვდი, რომ მომწონს ეს პროცესი.

კენ კიზიმ როცა დაწერა „ვიღაცამ გუგულის ბუდე გადაუფრინა“, იყო 27 წლის და მეც ვიყავი 27 წლის, „ღმერთი სამსახურშია“ რომ გამოვიდა. რომ შევადარე ეს ორი ნიგნი, ცოტა სასონარკვეთა დამეფულა, ძალიან დიდი განსხვავებაა. კი არ ვედ-

რები, ღმერთმა დამიფაროს, დიდი ოსტატია, მიუხედავად იმისა, რომ ჩემი აზრით, ერთი ნიგნის ავტორად დარჩა.



რუსუდან რუსაია
ჩემს ცხოვრებას ვერაპირი იცხოვრებს

– წერის დაწყებამდე ამბავს სამ შრედ ვლი: რა შეიძლება აინტერესებდეს ისტორიკოსს, რას არ დათმობდა ჟურნალისტი და რას აღმოაჩენდა მწერალი. ლიტერატურას, როგორც წესი, ნამცეცები ერგება ხოლმე, მაგრამ ჩემთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სწორედ ესაა.

იდეებით შეპყრობილი არ მეთქმის, უფრო ამბები მაინტერესებს. ნებისმიერი ამბავი კი ყოველთვის მომხდარზე მეტია და რაღაც საყოველთაოს ეხმინება. სამასი სიტყვა თუ გადაება ერთმანეთს, გული მომეცემა ხოლმე, რომ რაღაც გამოვა. ვერა სმენით, უმეტესად მაშინ, როცა ყველას სძინავს. განსაკუთრებული სიფრთხილით ვეკიდები აუდიორედაქტირებას: ხმაბალა კითხვისას ყურადღებით ვაკვირდები, როგორ ებმის სიტყვა სიტყვას, წინადადება – წინადადებას, აბზაცი – აბზაცს, არა მხოლოდ შინაარსობრივად, არა-

მედ ჟღერადობითაც. შესაძლოა, თვალმა ვერ შეამჩნიოს და მხოლოდ ყური მიხედეს, რომ რიტმს ერთი სავრცობი ხმოვანი არღვევს. როდესაც ველარაფერს ვცვლი, ტექსტზე მუშაობაც სრულდება, აღმაფრენას იმედაცრუება ენაცვლება და უკეთესის დაწერის ფინი მიჩნდება.

შეიძლება ითქვას, როგორი მწველიც ვიყავი, ისეთივე მწერალი ვარ – ნებისმიერ დროს შემიძლია შევეშვა... მწერლობას არც მონოდებად აღვივებ და არც ბედისწერად, მიუხედავად იმისა, რომ ხანდახან ლამაზობით გამჩენი მეც არ მასვენებს. რაც მთავარია, როდესაც დროის განაწილება მიჭირს, არ უნდა დამავინყდეს, რომ ჩემზე უკეთ ვერა დანერს, ჩემს ცხოვრებას კი ვერაპირი იცხოვრებს.



ნათო დავითაშვილი
ლაბირინთიდან გასასული კარი

– როგორ ვნერ? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად უნდა აღვწერო, თუ როგორია ჩემი ცხოვრება წერისას. ის არაა, რასაც ჩვეულებრივი დღეები ჰქვია, სამსახური, ოჯახი, ახლობლები, მოსწავლეები... არამედ ცხოვრება ამ ყველაფრის მიღმა, სადღაც, პარალელურ სამყაროში, სადაც ამბავი ხდება, რომლის არგამხელა არ შემიძლია, რომლის ყოველ მცხოვრებელს სული მე უნდა შთაგებოდა, ყოველი შენობისთვის ქვედა თავად უნდა მოვხიდი, სიტყვები მოვძებნო და ადგილი ისე მივუჩინო, რომ არ დავწერო, რისი თქმაც მინდა, მაგრამ მკითხველმა მაინც გაიგოს.

ამ პარალელურ სამყაროში მოგზაურობა კი დიდ ლაბირინთში სიარულს ჰგავს, რომლის გამოსასვლელს ყოველთვის ცხადად ვხედავ ხოლმე და ხშირად შესასვლელზე უფრო ცხადადაც. მთავარია, პირველი ნაბიჯი

გადავდგა, პირველი რამდენიმე გვერდი დავწერო. პირველ გვერდებს ალბათ ასჯერ მაინც ვკითხულობ, წერის რიტმი, თხრობის სტილი რომ ძვალსა და რბილში გამოიჯდეს. ლაბირინთში გასავლელ გზას ტექსტის შინაგანი სტრუქტურა, არქიტექტურა მინათებს, რომლის მიხედვითაც ვყვები ამბავს. ამიტომ მთელი გასავლელი გზა განათებულია და თითქოს გზიდან გადახვევის საშიშროებაც არ არის, მაგრამ სწორედ გადახვევების დროს, პატარა-პატარა ჩიხებში მოხვედრისას და იქიდან თავის დაღწევის მცდელობისას ცოცხლდება სამყარო... და ტექსტი განსაკუთრებულ ელფერსა და სურნელს იძენს.

ამას თუ ვახერხებ, ლაბირინთიდან გასასვლელ კარს ვაღებ, იქაურობას ვტოვებ და სამყაროსა და ამბავს მკითხველს გადავულოცავ ხოლმე. იქ მე უკვე აღარაფერი მესაქმება.



ანაბაზა შაშვილი
ნიმუხი ვნერ, გადინარი რომ არ ვარ

– მე ლიტერატურის მწვერა. იქნებ, იმაზე მეტადაც კი, ვიდრე ამას ლიტერატურა იმსახურებს. ამიტომაც, როცა წერას ვინყებ, ფრთხილი ვარ. ადრე შემეძლო, ყველაფერი გადამეტანა ფურცელზე და დამებეჭდა კიდეც; ახლა კი ხშირად მეფიქრება, რომ რაღაცები, რაც ჩემს მშვენიერ ტვინში იბადება, საერთოდ არაა ამქვეყნად მოვლინების ღირსი. დაუბადებელი ტექსტები სანამ შურს იძიებენ, მანამდე ბევრი ასეთი საქციელის ჩადენას მოვასწრებ, ასე მგონია.

ხდება ისეც, რომ მალევე ვანიჭებ საკუთარ ტექსტებს აერედიტაციას, ზოგჯერ კი ეს პროცესი ინელება და სანამ კონტურებს სრულად გამოუყვებ, ტრიალებს და ტრიალებს თავში მთელი ეს

ენობრივი ქაოსი, რაც შეიძლება დღეებიც და კვირებიც გაგრძელდეს. და ამას არც თვითკრიტიკულობის გამო ვაკეთებ და არც მკითხველისადმი მონინების გამო. უბრალოდ, ასე გამოვიდა. ხომ არის ხოლმე, რაღაცა უბრალოდ ასეა და მორჩა.

საბოლოო ჯამში, ბედნიერი ვარ, წერა რომ შემიძლია. თუმცა, წერით სწორედ იმიტომ ვწერ, ბედნიერი რომ არ ვარ.



თამარ ბაგაშვილი
დრო ცოტაა, სათქმელი ბევრი

– როგორ ვნერ? ადრე თავადაც გატაცებული ვიყავი ამ კითხვაზე პასუხის პოვნით და სხვა მწერლების ჩანაწერებში ვიქექებოდი – როგორ ვწერ? როდის? მამლის ყივილისას? შუალამეს, როცა კრინტს არავინ ძრავს? ქუჩაში? სარდაფში? მერე თავი დავანებე, ინტერესი გამიქრა, მივხვდი, რომ მნიშვნელობა არ აქვს.

წერ მაშინ, როცა კი იმპულსს ვიპოვი და რაიმე საინტერესოს ნაგანყდები, რის აღსაქმელადაც ჩემი გონება ყოველთვის მზადაა, მაშინვე, როგორც კი წინასწარ მოძიებული თუ შემთხვევით გაგონილი რომელიმე სიტყვა ასოციაციებს გააჩენს ან როცა სასონარკვეთილება მეუფლება იმის გამო, რომ ვერაფერი დავწერე. მაგრამ წერის პროცესი ინყება გაცილებით ადრე, ვიდრე ფურცელს თუ კომპიუტერს მიუჯდები და გრძელდება იმის მერეც, როცა მგონია, რომ წერტილი დავსვი.

ყველაზე მეტად ის მანუხებს, რომ ადრე შემეძლო, ყველაზე მეწერა – სახლში, სამსახურში, შესვენებებზე, კაფეში, ეზოში, სანაპიროზე, მაგრამ დროსთან ერთად ეს უნარი ნაშეფერხა. რაც უფრო ნაკლები დრო მაქვს და მეტი

საწერი, რადგან გაცილებით მეტ რამეს ვხედავ, ვიდრე წლების წინ ვხედავდი, სულ უფრო ცოტა ადგილი რჩება, სადაც წერა შემიძლია. დრო ცოტაა, სათქმელი ბევრი, განწყობა და ემოცია ყოველთვის არ მემორჩილება, მე კი იმაზე უკეთესი ნიგნი მაქვს დასაწერი, ვიდრე წინა იყო, რომ საკუთარ თავს მაინც ვაგვიჯობო. ჩემს თავს ვეკითხები, ეს როგორ უნდა შევძლო? პასუხისმგებლობებსა და ემოციებს ვებრძვი, წერის პროცესი მათავისუფლებს, რაღაც ახალს ვეძებ – ასე ვწერ.



ბაბა ნახუცრიშვილი
ამან თუ გადავარჩინა

– ძირითადად ღამით ვწერ. არა, მისტიკა და მუზა არაფერ შუაშია. დიდ ოჯახში გავიზარდე. სტუმრებიც ხშირად გვწყალობდნენ. დღე არ გავიძოდა, ვინმეს არ შემოველო. ჩვენი სახლის კარიც მუდამ ღია იყო. ასე რომ, დაღამებისას ვმეცადინებოდი და ვმუშაობდი.

90-იან წლებში ძალიან ბევრს ვწერდი. დაბეჭდვა, გამოცემა სულ არ მანაღვლებდა. მთავარი იყო, მწერა. ამან თუ გადავარჩინა, ჩემმა შექმნილმა სამყარომ. მაშინ ამაზე არც დავფიქრებულვარ. მხოლოდ ვწერდი და ვწერდი. ბებიჩემის ხმა-ნახული ნავთურა და ნავთის ღამა მათობდა და მინათებდა. ხანდახან შუალამისას შეცდომით შუქიც მოდიოდა.


დღეს წერისას ძალიან ველავ. წლებს ასაკთან ერთად მკაცრი თვითმეფასებაც მოაქვს. ვბორგავ, სანამ ცარიელ ფურცელთან მივალ. წერისას ხშირად ფეხზე ვდგავარ, ცხონებული გოგოლივით. ჰო, ისეც ფურცელზე ვწერ და მერე ვკრეფ კომპიუტერით. ფურცელი და კალამი სხვა ინტიმია. ვერ ვეღვი და რა გინდა, რომ ჰქნა.

პირველი გვერდიდან

ბიძინაშვილების ხელმძღვანელობით. ასეთი სასწავლებლები მნიშვნელოვანია მოზარდების კულტურული შეგნების ფორმირებისათვის და ცნობიერების ამაღლებისათვის.

გარკვეული სირთულეების გამო კომპლექსური ღონისძიებების ჩატარება ვერ ხერხდებოდა. ამ გარემოებამ განაპირობა არასამთავრობო ორგანიზაციის – „თელავი ჩემი ქალაქია“ – დაარსება ქალბატონი თამარ ლაზარიაშვილის ინიციატივით.

ორგანიზაციაში განვერიანება შეუძლია ყველა ადამიანს, ვისთვისაც მნიშვნელოვანია თელავის განვითარება. ფაქტობრივად, ის



დაფუძნებულია ახალგაზრდების ინოვაციურ იდეებსა და უფროსების გამოცდილებაზე. ასეთი სინთეზი კი პროგრესის მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

გარდა ფართომასშტაბიანი ღონისძიებებისა და მონვეული სტუმრებისა, ყურადღება ექცევა ადგილობრივ ნიჭიერ ახალგაზრდებს. პროექტებში ახალგაზრდებთან ერთად ის ადამიანებიც მონაწილეობენ, რომელთაც სოციალურმა თუ ეკონომიკურმა მდგომარეობამ საშუალება არ მისცა, გამოემუხურებინათ საკუთარი შესაძლებლობები. ამ მხრივ მნიშვნელოვანი იყო პროექტის „რეგიონში მცხოვრებ ფერმწერთა და მოქანდაკეთა ინსტალაციის ხელშეწყობა“ ჩატარება, რომლის ფარგლებში ხელოვნების საშუალება მიეცათ, მოეწყოთ პერსონალური გამოფენები, ინსტა-

ლაციები, სურვილისამებრ გაეყიდათ ნამუშევრები და საზოგადოებისათვის წარედგინათ საკუთარი შემოქმედება. პროექტის დასკვნითი ღონისძიება თელავის თეატრის ფოიეში ჩატარდა, სადაც მონაწილეებს სერთიფიკატები გადაეცა.

რაც შეეხება საერთაშორისო ღონისძიებებს. უკვე რამდენიმე წელია თელავი მასპინძლობს საერთაშორისო სააღდგომო ფესტივალს „აღდგომიდან ამალეობამდე“. 10 დეკემბერს ჩატარდა დასკვნითი კონცერტი „პუჩინის გმირები“. ქალაქს ეწვია: თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის კამერული ორკესტრი ლელა მჭედლიშვილის ხელმძღვანელობით, სოპრანო იანო ალიბეგაშვილი და კომპოზიტორი, პიანისტი და არანჟირების ოსტატი ნიკა ნიკვაშვილი. მათ თელავის თეატრის სცენაზე შესარულეს ჯაკომო პუჩინის უკვდავი მელოდები ოპერებიდან „ტოსკა“, „მადამ ბატერფლია“, „ბოჰემა“, „მანონ ლესკო“. ადგილობრივების გარდა, საღამოს ესწრებოდნენ მონვეული სტუმრებიც. ეს იყო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დღე უახლესი პერიოდის თელავის კულტურული ისტორიაში.



ყოველწლიურად ტარდება „თელავის მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი“, რომელზეც მსმენელის წინაშე წარდგებიან როგორც ქართველი, ასევე უცხოელი შემსრულებლები: ელისო ვირსალაძე, ნიკოლოზ ნამორაძე, კოლია ბლახერი, ფუკიამა მიურა და სხვები. ფესტივალის ფარგლებში ნამყვანი სუციალისტები სამუსიკო სკოლის მასწავლებლებისა და მოსწავლეებისთვის ატარებენ მასტერკლასებს.

თელავს უთუოდ აქვს პოტენციალი, იქცეს შესაძლებლობების ქალაქად და გააზრებული სიახლეებით კვლავ დაიკავოს ერთ-ერთი ნამყვანი ადგილი ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში.

►► დასასრული. დასაწყისი. №30,31,32,33

ბურამ ბობიაშვილი

ერთ-ერთი სტუმრობისას თავად ჩამოაგდო სიტყვა თარგმანზე. „სახელგამში“ მითხრეს, რაბლეს შესწივებისხარო, თუ გაასრულე, დიდ ქართულ საქმეს მოახელკეთილებო, რამეთუ რაღა ეგ ფრანგი და რაღა იტალიელი დანტეო. რაიც ახლა „სახელგამში“ წამოიწყო, ვახტანგ ჭყელიძის თავჯაცობით, რჩეული მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკის გამოცემო, ჯერ კიდევ 20-30-იან წლებში მე და კონსტანტინე ჩიქინაძემ განვიზრახეთ გერმანელი ჰესეს მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკის სიისდა მიხედვითო.

კონსტანტინე ურიგო პოეტი არ ყოფილაო, რაშიც დანტეს მართლაც ღვთაებრივი „კომედიის“ ერთობლივ თარგმანზე მუშაობისას დავრწმუნდითო. თუმცა, ეს უფრო მომავლის საქმეაო. რაც შეეხებაო თვითონ კონსტანტინეს, მან უფრო დიდ ქართულ საქმეს დაადგაო თავი – „ვეფხისტყაოსნის“ სიმფონია შეადგინაო

შინ, მაგრამ რატომღაც დიდი ყურადღება არ მიმიქცევია. თუ თარგმნილი, ქართულად გადმოწერილი ავტორი ქართული სულის ნაწილი ვერ გახდაო, მთარგმნელის, გინდ მაგდომონებლის თქვი, შრომა წყალში ჩაყრილიაო.

ეს ტერმინი „გადმოწერა“ პირველად ჩვენმა ქართულ საქმეში ფრიად განსწავლულმა ფილოლოგმა, პროფესორმა სა-



კარგია, რომ ჩვენი მეხანძრენი ხანძარს აქრობენო, მაგრამ ნამდვილად არ ვარგა, რომ ამავე დროს ცეცხლს დედაენას უკიდებენო, ანუ ჩვენი ენის სინამდის არ უფრთხილდებიანო. ქმნა, ვიქმ, ვქენი, ვიზამ, ვშვრები, თითქმის შერისხულია ეს უაღრესად საჭირო ზმნები, მარტო ვაკეთებ, გავაკეთე, გავაკეთებ, კეთება ისმის და იწერება... ღვთის წყალობითა და ჩვენთა წინაპართა შემწეობით, რაც ქართულად გვაქვს, უცხოური სიტყვა რალატომ უნდა ვიხმაროთო. ეს დროზე მისახედი საქმეა... ერთხელ და სამუდამოდ გადასაჭრელია ასომთავრულის ამბავიცო.

ქართველებს ერთი ბევრისმთქმელი ანდაზა გვაქვს: ზღვა კოვზით დაილიაო. ჩვენი ენა ნამდვილად ღვთისგან ნაბოძები წყალობააო, უძირო და უსაზღვრო ზღვააო, მაგრამ, თუ აგრერიგად უსულგულოდ მოვექცით და არ გავუფრთხილდით, ნუ დაგავინყდებთ, რომ გარკვეული დროის შემდეგ ის ანდაზის პატარა კოვზი გუბის ანდა ტბორის პირას დაგვაყენებსო. მოკლედ, კონსტანტინე ბატონის ენის გამო გულისტკივილი მართლაც ზღვასაებრ

გულის ფისარზე აღბეჭდილი

და თავისი უებრო სიტყვა თქვაო რუსთველოლოგიაში. იმ წლებში, მგონი, ყურნალ „მნათობში“ უიტმენის რამდენიმე ლექსის გამსახურდიასული თარგმანიც დაიბეჭდა. გამსახურდიასული ქართული „ვერტეზი“ დიდად გახმაურდა ჯერ კიდევ ოციან წლებში. იმ ხარისხისა და დონის ქართულ ტექსტს, ალბათ, თვითონ გოეთეც მოაწერდა ხელს. ისე, კონსტანტინეს ფრიად მკაცრი მიდგომა ჰქონდა განსაკუთრებით პოეტური თარგმანის მიმართ. ამ მხრივ „შაჰნამეს“ და მაჩაბლის შექსპირს იწონებდა, კარგი აზრისა იყო კოტეტიშვილისეულ და თოდუასეულ თარგმანებზეც, ხოლო პროზაში „ვისრამიანი“ მიაჩნდა ნიმუშად. შექსპირი თავისი მეორე მოსვლით უკვე მაჩაბლად მოველინაო არა ინგლისს, არამედ საქართველოსო. მაჩაბლის გზა გამორჩეულად განაგრძო თაბუკაშვილი-მარო, რეზომ, თავის სონეტებს შექსპირი ქართულად, ალბათ, ასე დანერდაო. ნნ-ე სონეტი ძალიან ესულგულებოდა კონსტანტინე ბატონს, ზეპირადაც იცოდა.

გრიგოლ აბაშიძის პოეზიაზე არა, გრიგოლის ისტორიულ რომანებზე მაინცდამაინც მაღალი აზრისა არ იყო, მაგრამ იმის პოეზიას საერთოდ და მეტადრე სხვათა გადმოქართულებულ პოეზიას დიდად აფასებდა. განსაკუთრებით უნგრულ პეტეფის ასახელებდა ნიმუშად. რასან გრიგოლ აბაშიძეზე ჩამოვარდა სიტყვა, კონსტანტინე ბატონმა ერთი ასეთი ამბავიც გაიხსენა: ჩვენი გრიგოლ აბაშიძის გარდაო, იყო კიდევ ერთი პოეტი გრიგოლ აბაშიძე, აკაკის დროსო, ის თურმე რაღაც უიშვიათესი მახსოვრობის უნარით გამოირჩეოდა. რაც უნდა დიდი ტექსტი ყოფილიყო, ერთი მოსმენით იხეპირებდაო. ერთხელ აკაკის შეუთვლია, მაჩაბლის ქალისთვის, დღეს დილით ისეთი ლექსი დამეწერინა, რომლის მსგავსი არც მე დამიწერია და ჩემამდე არც კიდევ ვინმე სხვასაო. ხვალ ამა და ამ დროს მოვალო და ერთად წავიკითხოთო. ტასოს, მაჩაბლის ცოლს, ახლობლები მიუწვევია, აკაკი მოდის, ახალი ლექსი უნდა წავიკითხოთო და მობრძანდითო. მოწვეულთა შორის ყოფილა პოეტი გრიგოლ აბაშიძეც. აკაკის მოსვლის უამს კართან ფარდას ამოჰფარებოდა. მოსულა. აკაკი ბატონი, ეს რაოდენ რიცხვმრავლად შეკრებილხართო, უთქვამს და, ვითარცა სწევოდა, ავაჯით წაუკითხავსო „განთიადი“. როგორც კი აკაკის ლექსის კითხვა დაუშთავრებია, კარი შემოუღია, შემოსულაო ის გრიგოლ აბაშიძე და, ამ დილით დანერდი, ჩემი ახალი ლექსი უნდა წავიკითხოთო, და ზუსტად აკაკის ხმით წაუკითხავს „განთიადი“. აკაკის გული შექლინებია, ორმა პოეტობა ერთი და იგივე ლექსი როგორ დაეწერათო... ხდება, ცხოვრებაში ესეთივარი ამბებიც ხდებაო, ღიმილით დასძინა კონსტანტინე ბატონმა.

სხვათა შორის ტერმინი „გადმოწერა“ პირველად კონსტანტინესგან გავიგონე მა-

შა (ალექსანდრე) ღლონტმა მომანოდაო. სინაის მთის ხელნაწერებში ყოფილაო ეს ტერმინი. ჩვენი დიდი მთარგმნელები იყენებდნენო. დიდშრომაგამოვლილზე იტყოდნენო, მოშრომადაო, კი არ მოვიდაო, მოშრომადაო. ეს სიტყვა მერჩულეშიც არისო. ანდა დიდბრძოლაგამოვლილზე ამბობდნენ, მთელი ცხოვრება მოდიოდა და მოიბრძოდაო, ესე იგი, ბრძოლით მოდიოდაო, მოიბრძოდაო... სხვა ენიდან, ამ შემთხვევაში, უმეტესად ბერძნულიდან, ტექსტის გადმოტანის, გადმოღების, გადმოქართულების ნაცვლად გადმოწერას ხმარობდნენო. საშა ისეთი დონის მეცნიერია, მაგის ნდობა შეიძლებაო. ისე, ჩვენი მთარგმნელებისგან ბევრი კარგი რამის სწავლა არ გვანყენსო. მთავარია, ჩვენს ენას სიკამქაზე და სიანკარე არ დავუკარგოთო. ნიკო მარმა უთუოდ ბრძნული და თქვა, ქართული ენით ყოველგვარი რთული აზრის მარტივად გამოხატვაო შესაძლებელი. ერთი ძველი გამოთქმით კი „ქართველთა ენაი უფსკრულ ღრმა არს...“

იყო დრო, როცა რუსული старая дева ქართულად, როგორც ბებერი ქალწული ანდა ბებერი ქალიშვილი, ისე გადმოჰქონდათო. მერე ცნობილმა ენათმეცნიერმა შოთა ძიძიგურმა ქართულ ფოლკლორში ზუსტი შესატყვისი იპოვაო შინაბერა, და ქართული ლექსიც უთუოდ გამდიდრდაო...

უცოლშვილოდ გადაგებულ კაცზეო აღმოსავლეთ საქართველოში დღესაც ამბობენო ეგ ოჯახმწუნად დაბერდა, თაუშიაო. ენას ყოველწუთიერად კი არა, ყოველწამიერად უნდაო მოვლა და დაცვა. ამ ფრიად ფაქიზ, სათუთ საქმეს ძველდაც ეტმასნებოდნენო ვიღაც-ვიღაცები, ისინი დღესაც არიანო და, ღმერთმა ნუ ქნას, რომ მომავლშიც არ გადაშენდნენო. ერთი ამ მიტმასნილთაგანს პასტელის ფერები გადმოაქვს, როგორც ლოგინის ფერებიო, ხოლო მეორე, არც მეტი, არც ნაკლები, ნაშეტანი „აქტობოსო“, საპარას და საპარის უდაბნოს შაქრის უდაბნოდ გვთავაზობსო. დღეს ყველგან გაიგონებთ საჩუქარი გაუკეთაო (სდელალ პოდაროკ) ანდა არჩევანი გააკეთაო (სდელალ ვიბორ). ჩვენი მეცხრამეტესაუკუნელი კლასიკოსი კი წერდნენ და ამბობდნენო, საჩუქარი მიაწვავო ანდა საჩუქარი გადასცაო, მისცაო, ხოლო არჩევანი კი არ გააკეთა, არამედ მიიტანაო (პეტრემ პავლეზე მიიტანაო არჩევანი). ამჟამად არამარტო ქალაქში გაიგონებთო ვაფიქსირებ, დავაფიქსირეო, უკვე სოფლადაც შეაღწია ამ უცხოურმა სიტყვამო.

არადა, როგორც ენათმეცნიერნი წერენო, ამ ერთ უცხოურ სიტყვას თქვენსმეტი ქართული შესატყვისი ჰქონიაო.

სიტუაციამ ხომ ფეხებზე გაიგდო ქართული „ვითარება“. სახანძრო სამსახურის შენობებს ყველგან აწერიაო „საგანგებო სიტუაციათა სამსახური“, რით იქნებოდაო ცუდი „საგანგებო ვითარებათა სამსახური“ რასაკვირველია, ძალიან

უძირო და უსაზღვრო იყო... სხვათა შორის, ქართული ენის ნორმების დაცვის პალატაზეც ილაპარაკა, თითქოს გვაქვსო, ოღონდ რატომღაც მაინცდამაინც ვერ ყოჩალობსო... ზოგიერთ ქვეყანაში, მგონი, ენის დაცვის პოლიციაც კი არსებობს და კარგა გვარიანი ჯარიმებიც არისო ენის დამახინჯებისთვის დანესებულიო...

არც კიდევ პარლამენტის ქართული სახელწოდება დაგინწყებია. ჯერეთ კიდევ თამარ მეფის დროიდან მოყოლებული ქართულ პარლამენტს ყოველთვის დარბაზი ერქვაო, პარლამენტარს კი დარბაისერიო. კი, ბატონო, მაშინ სამეფო სახლი იყო, ახლა სახელმწიფო სახლიაო...

ჩემს იმდროინდელ ძველ ჩანაწერებში კიდევ რამდენიმე ამბავი მაქვს აღნიშნული, მაგრამ შევეშვი, რამეთუ ისინი, ალბათ, ვერაფერ ახალს რასმე ვერ შეჰმატებდნენ ჩემი საყვარელი მწერლისა და ადამიანის კარგა ხნის მანძილზე გულში თბილად ნატარებ ამ ჩემულ რამდენიმე ეპიზოდურ სურათს.

მოგეხსენებათ, სუყოველი მწერალი რაღაცა მანამდე უქონელს გვქმნს, სულ სხვა ადამიანად გვხდის, სულ სხვა გონების თვალთ გვაყურებინებს სამყაროს. რა მომცა პირადად მე ამ თვალსაზრისით კონსტანტინე გამსახურდიამ ნიშანდობლივ? რა და, ბევრად გამინასიანებელი გაგებით უუფრო ქართველი გახვდა, ბევრად უუფრო ქართველი და მჯერა, არა მარტო მე! განა ეს ცოტაა?!

მართალია, მე უოტა ადრე წამოვედი, შუალამე გარდასული იყო, მაგრამ, დანამდვილებით ვიცი, სამზადისს შევესწარი, იქვე, კოლხური კოშკის ეზოში დაკრძალვის წინა ღამეს, ზვიადმა მეგობარ მოსაგრეთა თანა თავის, მაგრამ ამავე დროს ყველა ჩვენგანის მოძღვარს, უკვე გამთენიისას, როგორც თავად დიდი მამა მოძღვარი იტყოდა, უკანბოლო კერონ-ქელაპტარი დაუნთო, ილია მეორისეული ღვთაებრივი საჩუქარი, და იდუმლივ მდუმარე ლოცვა აღუვლი-ნა, ანუ უფალს განსვენებულის შემწედ უხმო, რაიც „გონებითა ღვთის მიმართ აღსვლა“ და საბოლოო ნათელი იყო, უსიკვდილობამისჯილმა მოძღვარმა თავისი სამარადისო შემოქმედებით განათებული ამ უბარაქო წუთისოფლიდან იმ უსასრულოდ გრძელ, ცოდვილთაგან სინათლენასულ, მზეგადასულთა სამარადისო სოფელში თან რომ წარიტანა გასანათებლად.

P.S. ბოლოს მაინც კიდევ ჩავიხედე ჩემი ჩანაწერების ძველ რვეულში. კონსტანტინე ბატონს ერთხელ ასეთი რამ უთქვამს: ყველანი სიზოფენი ვართ, ოღონდ ყველას ჩვენი-ჩვენი ლოდი გვაქვსო საზიდი.

ბრალის ბაგბრქელაგანი



„კოლხური ტრიო“ დღეს

ქალაქი სენაკი ცნობილია თავისი მუსიკალური ტრადიციებით. აქ მუდამ ისმოდა ქართული ხალხური, პოლიფონური სიმღერა, კანონიკური გალობა, მეგრული სიმღერა ჩონგურის ფონზე, რომელიც შრომასთან იყო თანაზარი, ამის კარგი გამოხატულებაა ცნობილი სიმღერა „ოდოია“. თავის დროზე აქ ჩამოყალიბდა რეგიონში პირველი სასულიერო ორკესტრი. სწორედ სენაკის რაიონში, სოფელ მენჯში, დაიბადა ცნობილი ლობთარი ნოკო ხურცია. ამ მუსიკალური ტრადიციის ღირსეული გამგრძელებელია ყველასათვის ცნობილი და საყვარელი „კოლხური ტრიო“.

სამი მაფშალის ერთობას საფუძველი 1975 წელს ჩაეყარა. ამ სამი ქალბატონის: დონარა მიმინოშვილის, დარეჯან ფაჩულიას და ბელა ქამადაძის შეხვედრა სენაკის თეატრს უკავშირდება. ტრიოს შექმნაც დაუგეგმავი, სპონტანურ იყო. მთელს საქართველოში სწორედ „კოლხური ტრიო“ გახლდათ პირველი ქალთა ხალხური ტრიო.

„კოლხური ტრიოს“ აქტიური ურთიერთობა აკავშირებდა გამოჩენილ ქართველ ფილოლოგთან, პროფესორ ვახუშტი კოტეტიშვილთან. მან მაფშალიებს პირველად ფილარმონიის საკონცერტო დარბაზში მოუსმინა, სადაც ტარდებოდა რესპუბლიკური ოლიმპიადა, ბატონ ვახუშტის იმდენად მოეწონა გოგონები, რომ მეორე დღესვე მოიწვია ტელეგადაცემაში „გამხიარულდი ბუხარო“, ეს გადაცემა გახდათ პირველი ნათლობა ტელევიზორში.



იმ პერიოდში, ვახუშტი კოტეტიშვილი და ალექსი ჭინჭარაული ატარებდნენ დიდ ღონისძიებებს, სადაც საქართველოს მთიანეთიდან და სხვადასხვა რეგიონებიდან ჩამოჰყავდათ სახალხო მთქმელები, მელექეები, მომღერლები. ერთ-ერთი მორიგი ღონისძიება ჩატარდა ქალაქ სენაკის მახლობლად, ისტორიულ არქეოპოლისში (ნოქალაქევი), სადაც მოწვეული იყვნენ სამეგრელოს რეგიონის ყველა რაიონიდან, ფოლკლორის დარგში მოღვაწე ადამიანები. ღონისძიების წამყვანი გახლდათ ვახუშტი კოტეტიშვილი, რომელმაც საზოგადოებას წარუდგინა ქალთა ტრიო, როგორც „კოლხი მზეთუნახავები“, რამაც განსაზღვრა მათი სახელი „კოლხური ტრიო“.

ტრიოს წევრები განსაკუთრებულად იხსენებენ იმ ადამიანებს, რომლებმაც დიდად განსაზღვრეს მათი შემოქმედებითი ასპარეზი: ჰამლეტ გონაშვილი, გოგი დოლიძე, თემურ ჭკუასელი, სოლომონ ლაფაური და სხვები.

ჰამლეტ გონაშვილს უთქვამს: „რა კარგები ხართ, რა გულწრფელები, მომაჯადოებელი მეგრული სიმღერის შესრულებისას, თქვენი ჩვეულებრივ ცხოვრებაში შესანიშნავი, უმანკოვებითა და სიფაქიზით აღვსილნი ყოფილხართ... ქედს ვიხრი თქვენი სიმღერისა და სიხალისის წინაშე.“

„კოლხური ტრიოს“ ამჟამინდელი წევრები განსაკუთრებულად იხსენებენ ქალბატონ დონარა მიმინოშვილს, რომელიც ნამდვილად გამორჩეული იყო თავისი შემოქმედებით, ხმითა და ნიჭიერებით. სამწუხაროდ, მან ეს წუთისოფელი ადრე დატოვა, მის ადგილს კი, დღეს ღირსეულად იკავებს და დედის გზას განაგრძობს შვილი, ეკა კოლუა, რომელმაც ტრიოს ახალი ენერგია შეჰმატა და რეპერტუარის გამდიდრებაშიც დიდი წვლილი შეიტანა.

შოთა ყურუა



ბიკ არბანაშვილი

ამ ლექსს მე პოეზიაში დაბრუნება დავარქვი... რამდენჯერმე გადავიკითხე და, ჩვეულებრივ, ტექსტიდან კი არ ამეკვივებოდა რაიმე სიტყვა ან ფრაზა, არამედ სულ სხვა მხრიდან მოვიდა საერთო შეფასების და შთაბეჭდილების გამომხატველი ეს ნაცნობი სტრიქონები; „შეკრა წითელი ასი ათასი პირად მზემან და ტანად სარომან...“ (რუსთაველი).

როგორც ჩანს, ამ ორ ტექსტს შორის რაღაც შინაგანი კავშირი შევნიშნე.

ლექსის მეორე საკვანძო სიტყვა, ალბათ, ნაციონალური იდენტობაა. ეს სიტყვა არაა ნახსენები ლექსში, მაგრამ ის პირველივე სტრიქონებიდან ჩნდება მკითხველში, გზადაგზა ხორცს ისხამს, წელში იმართება და ტექსტის ბოლოს გარკვეულ კონცეფციად ყალიბდება, რომელსაც ხვალ თუ ხვდ მცინიერების სხვა დარგებიც დაესხებიან, როგორც ამ ცნების მხატვრულ თუ მეტაფორულ განმარტებას.

დასაწყისში კი ჩემი ყურადღება ლექსის არაპოეტურმა სათაურმა – „სიტყვა არტიკლდაუცვეთელ ენებს“ – მიიქცია, რომელიც არა მხოლოდ თემას მიანიშნებდა, არამედ ადრესატისადმი დამოკიდებულებასაც, ლექსის მთავარ საზრისს, მის ფორმას და პოეზიის იმ მიმართულების სივრცით კოორდინატებს, რომელიც, უდავოდ, ქართული კლასიკური პოეზიიდან იღებს სათავეს და ჩვენს დროში სწორედ ბესიკ ხარანაულის ძალისხმევით ქრის გაყამირებულ ნიადაგში ახალ კალაპოტს.

ამავე დროს, არტიკლდაუცვეთელი (ჯერ რომ კბილიც არ მოუცვლია) და არტიკლდაცვეთილი ენები ბუნებრივ ოპოზიციურ წყვილს ქმნიან და ლექსში მათ შორის მოსალოდნელი ფარული კონფლიქტი, რომელიც შესანიშნავი მიზეზი გახდება, რათა ეპისტოლური ფანრის უკანა ფონზე დრამატული დაპირისპირების მოწმენი გავხედო.

ფარული აზრობრივი დინებები ბესიკ ხარანაულის შემოქმედებისთვის ჩვეულებრივი ამბავია. მას შეუძლია, დაყოვნებული მოქმედების აზრი ჩააგდოს ტექსტის დასაწყისში (როგორც კედელზე დაკიდული თოფი) და ის რომელიმე სტრიქონში აუცილებლად „გაისვრის“ ან კიდევ უარესი – თუ ის ყოველი ნაკითხვის შემდეგ ხელახლა აუფეთქდება მკითხველს ხელში.

მე რომ სხვა დროს და სხვა მიზეზით დამენერა ბესიკ ხარანაულის შემოქმედებაზე, როგორც მისი პოეზიის დიდი ხნის მკითხველი, მწერლის სხვა ნაწარმოებებსაც გავისხენებდი, პოეტურს თუ პროზაულს, მოვძებნიდი მათ შორის პარალელურ თეორიების მორგებას და ტექსტების სხვადასხვა მეთოდოლოგიურ ქრილში განხილვას და, ჩემდა უნებურად, შევუდგებოდი დიდი ხნის ჩანაფიქრის – მწერლის შემოქმედებითი პორტრეტის შექმნას.

მაგრამ აქ ტექსტმა სრულიად ჩამკეტა თავის საზღვრებში, შესაძლოა, იმიტომ, რომ მან სოციალურ ქსელეში დიდი აღფრთოვანება გამოიწვია. ეს მოსალოდნელი იყო, რადგან პოეტს ახალ თაობაში ბევრი მკითხველი ჰყავს, მოუხედავად იმისა, რომ ქართული პოეზია დღეს სრულიად სხვა მიმართულებით ვითარდება, ვიდრე ამას ბესიკ ხარანაულის არჩეული გზა ითვალისწინებდა.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ „ლიტერატურული ბაზარი“ თავის მოთხოვნილებას ახმაინებს. ახალგაზრდა პოეტებმა, რომლებიც ახლა იწყებენ შემოქმედებით გზას, შეუძლიათ ეს დაკვირვება გარკვეულ ორიენტირად აქციონ და თავიანთი მომავალიც ამის მიხედვით განსაზღვრონ.

ლექსი კომპოზიციურად რამდენიმე თემატურად პირობითი თავისგან შედგება. ისინი ერთმანეთისგან აზრობრივი დამბებით არის გამოყოფილი და ერთმანეთში გადასავლელად ინფორმაციულ და ემოციურ ჩქერალს ქმნიან.

მკითხველს შეიძლება მოეჩვენოს, რომ ავტორი დიდ ერებს მხოლოდ საკუთარი ენის ღირსებებზე მოუხსრობს, სინამდვილეში კი ეს ერის ისტორიაა, ენაში სიმბოლოებად და მხატვრულ სახეებად გარდაქმნილი. თუ მნიშვნელოვანი აქ ის არის, რაზეც ენა გვიყვება, ის ყველაფერი ანწყობს და მომავალი. ხოლო ენის პატრონი რაღაც ძველი დამსახურებისთვის კი არ ითხოვს შეღავათს, არამედ დღევანდელს სთავაზობს მკითხველს.

თავიდანვე ვთქვით, რომ ადრესატი ზუსტად არ არის განსაზღვრული, თუმცა სწორედ ოპოზიციური წყვილის ლოგიკას მიყვებით. წერილი არტიკლდაუცვეთელ ენების პატრონებს ეხებათ, რომელთა სახელი მთელი ცივილიზებული რეგიონია.

გნერთ მე ამას, ჩემს არტიკლდაცვეთელ ენაზე, ძველისძველზე იმდენად, რომ სქესიც კი არ გააჩნია და ისევე იწერება, როგორც წარმოითქმის. იცვლის ბატონებს და თვითონ არ იცვლება და ელის თავის დროს, რადგან სახარებაში ამა ენას ლაზარე ჰქვია.

ძნელი სათქმელია, ზუსტად რამდენი საუკუნე აშორებს ბესიკ ხარანაულს იოანე ზოსიმემდე, თუმცა ამ ენას ისევ ლაზარე ჰქვია და ისევ „დამარხულ არს ენაა ქართული დღემდე მეორედ მოსვლისა მესიისა სანამებეჯლად, რათა ყოველმა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითა“

მე მრავალჯერ მომიხმენია კითხვა ამ წინასწარმეტყველური წარმომავლობის მხატვრული ტექსტის შესახებ. დღევანდელი დაქვევებული თაობა კი ყოველგვარი რევერანსების გარეშე დაჟინებით გვეკითხება, თუ რომელ ისტორიულ წყაროს ან გადმოცემას ეყრდნობა ბერი იოანეს წინასწარმეტყველება, როდესაც ის ქართულ ენას სახარებისეულ ლაზარეს ადარებს და მისი, როგორც ოთხი დღის მკვდრის აღდგენის მსგავსად, ქართული ენის აღდგენასაც წინასწარმეტყველებს.


მე არ შემიძლია ამ საკითხზე ღვიწმინტყველთა ან ფილოლოგიის მეცნიერებათა კვლევის უკანასკნელი ქეშმარიტება

დავიმოწმო, თუმცა იმის თქმა კი თამამად შემიძლია, რომ იოანე ზოსიმეს ეს ლექსი, რომელიც ესქატოლოგიური მისტიკის ნიმუშად არის მიჩნეული, ჩვენთვის, უპირველესად, კულტურული ანთროპოლოგიის საბუთია, რომლის დანიშნულებაც, შეიმეცნოს და გააანალიზოს ადამიანის მესიანისტური წარმოდგენები; ის, ამავე დროს, მჭიდრო კავშირშია ლინგვისტიკასთან, ენასთან, როგორც კულტურულ მოვლენასთან და კაცობრიობის მისტერიასთან, რომელიც მაცხოვრის მიერ ერთ-ერთ უდიდეს სასწაულს – ოთხი დღის მკვდრის (ლაზარეს) აღდგენას უკავშირდება.

და, როგორადაც უნდა წარმართოს კაცობრიობის მომავალი, მისი განვითარების გზა, ჩვენთვის იოანე ზოსიმეს ეს ლექსი კვლავაც დარჩება ერთ-ერთ ძლიერ მოტივაციად, რომელიც ბიბლიურ ნარატივში მონაწილეობის მისაღებად აქეზებს სხვადასხვა ერს და სიცოცხლის დაუმრეტელ წყაროდ იქცევა ამ ენის მომავალ მსახურთა ხელში.

პოეზიაში დაბრუნება

კომენტარები ბესიკ ხარანაულის ლექსზე „სიტყვა არტიკლდაუცვეთელ ენებს“



გნერთ მე ამას ჩემს არტიკლდაცვეთელ ენაზე, რომლის მცველი რაინდიც ზმნაა, მიწვენილი იმდენად ზენარასს, რომ სხვა ენაზე ვერ ითარგმნება ზმნის პოეტები. რადგან ამ ენამ დადო სამანი ნარატიულს და სამჭევროს შორის,

რომ ერთი ეგოს – ფლასად, მეორე – ფრენდეს. რადგან ამ ენაზე თხრობა არ ეწყობა: უთუოდ ზმნის გამო.

აქ მიინდა მცირე განმარტება გავაკეთო ნარატიულ და სამჭევრო ენას შორის, რომელთა შორისაც ავტორი სამანს დებს (შეიძლება, რუსთაველიც გავგახსენდეს: „შუა უძვეს დიდი ზღვარი“). გასაგებია, რომ ნარატიული ენა თხრობას გულისხმობს, ხოლო სამჭევრო-მჭევრმეტყველებითი „ნათლად, კარგად, ლამაზად მოლაპარაკეს“ ნიშნავს, თუმცა, ვვარაუდობ, რომ ავტორი ამ შემთხვევაში გურამიშვილისეულ ახსნას უფრო ეყრდნობა: „ქართლის ჭირსა ვერინ მოსთვლის, თუ არ ბრძენი ენამჭევრი!“ სადაც მჭევრი ენა ბრძენთა ენადაა დასახული. პოეზიაც ზომ სიბრძნის დარგია (რუსთაველი). აქედან გამომდინარე, უნდა ვთქვათ, რომ ავტორი ერთმანეთს უპირისპირებს თხრობით და პოეტურ ენას და აღიარებს, პოეზიის ენა (მოუხედავად ლექსის ფორმისა) კვლავაც რუსთაველის ღირებულებას იზიარებს და ენა (ზმნა) ამ მხრივ საიმედო გარანტიაა მომავალი შემოქმედებითი ასპარეზისთვის.

რომელსაც, ფრენაში ძალა თუ დაადგა, გაოთხპირიანდება და დაეებულ საწოლიანად გაიტაცებს წინადადებას – თითქოს მხედარს გაჭენებულმა ცხენმა თავი გასტაცა... ნახეთ, ჯერ რა სინარნარეა, რომ მეტყველებისგან გაუცნობიერებლად, ზმნა თავისთავში გამოხატავს სუბიექტსაც და ობიექტსაც, და, ამაში ცნობიერდება ქართული სული...

სტუმარია წინ დაყენებული: „მოდი-ს სტუმარი“ – „ს“ მესამე პირის ნიშანია, მასპინძელი კი არაა ზმნაში უპირატესი, არამედ სტუმარი...“

ძალზე საინტერესოდ ახსნა პოეტმა სტუმარმპინძლობის ტრადიცია და მისი ფორმულაც ამ ყოვლისმომცველ ზმნაში ჩაატია. ზმნაში ჩაატია პოეტური საზღვრები და ქართული ნაციონალური იდენტობის მთავარი ხასიათი.

თუმცა: ქართულ ზმნაში პირის გარდა ნახევარპირიცაა. მაგალითად: ორპირნახევრიანია ზმნა – დაუნათა. – მან – მას – მასზე... რამდენ ვინმეს მე გზა დავუნათე, იმდენმა დამკრა... ენაში ერის ტრადიციული ბედისწერაც ყოფილა ჩატეული. როდესაც მავანი შენ მიერ ჩადენილ სიკეთეს დამსახურებულად მიითვლის (შეიღირსიებს) და თავხედურად უფრო და უფრო მეტსაც მოითხოვს...

ამის მაგალითიც უამრავია ჩვენს ისტორიაში, მაგრამ „უმიზეზონი“ ამ მხრივ არც ჩვენ ვყოფილვართ, ამ ენის მომხმარებელი: ჩვენ, ვისაც დედამინა ლოგინივით ვერ მოგვირგია და სულ თვალი გაგვირბის სხვაგან და სხვისკენ და სულთვალთმაცქებით ერთსაცა და მეორესაც, მოსყიდულები ვართ ორივეთი...

ენა აქ სარკის ფუნქციას ასრულებს, სადაც ყველაზე უკეთ ჩანს ჩვენი სახე (მკითხველს არ დასჭირდება იმის კარნახი თუ როგორ ავლენს ჩვენი ყოველდღიური ლექსიკა ჩვენს დაცემას). აქ ავტორი ილიასეულ მხილების კალამს დაძრავს თავისი ერის და, პირველ რიგში, საკუთარი თავის მიმართ (თვალი გაგვირბის, ვთვალთმაქცობთ, მოსყიდულები ვართ), რწმენასაც და ურწმუნობასაც ერთნაირად ნაკლად ჩაგვივთვლის, როგორც ველურს, რომელიც ადრე უქონლობის გამო იყო ველური, ახლა ქონის (ქონების) გამო გაველურდა; ადრე მას უკანონობა აძლევდა სრულ თავისუფლებას, ახლა კანონი ათავისუფლებს დამსახურებული სასჯელისგან.

ამიტომაც გუბუნებით ამ არტიკლდაცვეთელ ენით, რომ მეორმოსვლის ფაშს, რიყესავით რომ ეყრება მკვდარი ენები და გაისმება ღმერთის სიტყვა – ალდექ, ლაზარე! ბებერი ორბი წამოდგება გაჭაბუკებული და იქნება ის ენა ქართული... და მე ქართულად ვილაპარაკებ იმ სამყაროს სამსჯავროს წინაშე.

ან, იქნებ ერთი ფრაზა ვესროლო მხოლოდ, რომ ისრად დაესოთ: „მკვდარი უფრო სუფთა არის, ვიდრე ცოცხალი!“ აქ კიდევ ერთხელ უბრუნდება პოეტი იოანე ზოსიმეს წინასწარმეტყველებას და მხილებით გამონვეულ ნიჰილისტურ მდგომარეობას ქართველური თავდაჯერებით პასუხობს („რაც კარგები ვართ, ქართველები ვართ“), თუმცა მკითხველს არ გამოჩნება თვითირონია, რომელიც ბოლო სტრიქონში – „მკვდარი უფრო სუფთა არის, ვიდრე ცოცხალი!“ უკვე ცხადად იგრძნობა.

მე და ჩემი ქართველობა დედა-შვილი ვართ. საკუთარ თავზე გამომიცდია, რა ძნელია, როცა კაცი ვერ ასწრებს გულზე მოყრილი განცდების ჩაწერას, როცა ხედავს, როგორ ყვლამონვდილი ეხვეწებიან – აბზაცი, ლექსი, სტრიქონი... და, აბა, გათენდა!

ბერე უანრს გამოვიგლოვებთ ცხოვრებაში, დარჩება მხოლოდ მეტა-პოეზია და მეტა-ადამიანი. აქ პოეტი მეტა-ენაზე საუბრობს, რომელიც განიმარტება, როგორც აღმწერი და არა აღსაწერი და ამის მსგავსად ძე კაცისა – ადამიანი ენასთან ერთად იქნება განმკითხველი და არა განკითხული.

პოეზიის დრო მოდის: მიდი, პოეზია, თავისუფლად, შენი დრო მოდის, გაანათე ჩვენი ჯურღმულები! ხან იკოჭლე, ხან იქენავე, მოძოვე, რაც გინდა, შეაჯეჭე, ვისაც გინდა, – შავი და თეთრი რა ბედენაა!.. უთვალავი მხედარი გყავს გადმოგდებული და ახლალა ხარ შენს ნებაზე, სულ თავ-ფეხზე ითამაშოდე!

ბუნებრივი იქნება, თუ ამ სტრიქონებში მკითხველი ბართაშვილის სუნთქვასაც იგრძნობს და არა იმიტომ, რომ აქ მხედარზეა ლაპარაკი და სადღაც მერანიც იგულისხმება, ან ვილაც, ხან რომ კოჭლობს და ხანაც ამ მერანს აჭენებს, არამედ იმიტომ, რომ, როდესაც პოეტი „გადმოგდებულ“ მხედარზე გვსაუბრება, სწორედ იმას გულისხმობს, რომელიც ვერ გადმოგდო მერანმა და ამ თავანყვეტილმა რბოლამ ის სამძღვარს იქით „ჯურღმულეში“ გაიტაცა და იქაურობა დღესავით გაანათებინა.

და ამის შემდეგ „ვეფხისტყაოსნის“ შესავალი გაახსენდება მკითხველს, სადაც რუსთაველი პოეზიის რაობაზე გვესაუბრება. შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ ამ ცოდნამ რვაასი წელი გავგიძლო, სხვადასხვა გზაზე გვატარა, სხვადასხვა კულტურათა სიახლოვეს გვაგმყავს და დაგვიცვია, რომ მასში არ ავთქვეფილიყავით, მაგრამ ახლა კი მისი განახლების დროც დადგა – ჩვენ ხელახლა მოგვინვეს განვლილის გააზრება, რადგან ახალი რეალობის წინაშე ვდგავართ და ჩვენი ნიჭი ახალ-ახალი უნარებით უნდა დავტვირთოთ:

ლექსის ფორმა იმისთვის შეიქმნა ოდესლაც, რომ მსმენელმა ადვილად დაიმახსოვროს. რითმის ადგილი სტრიქონის მარჯვენა კიდეშია, ასეც ერქვა ჩვენში – „ლექსის ყუა.“ ყუა ქართულად ნაპირს, კიდეს ნიშნავს – პურის ყუა, ცულის ყუა... ლექსი პოეზიისთვის იყო და არა რითმისთვის! რითმას ჩვენში წინ უსწრებდა ცხრამარცვლიანი „მიობლური“ და „ხმით ნატირლები“, აგრეთვე, უძველესი ტრადიციის მქონე „წყობილი სიტყვის“

სალექსო ფორმა, წინამორბედი თანამედროვე „თავისუფალი ლექსისა“ – სადაც ლექსთწყობას ქმნის არა სტრიქონთა თანაბარმარცვლოვანება, არამედ ემოციურად და შინაარსობრივად ერთიანი ტაქტების რიტმი, – პოეტური ენერჯის თავისუფალი სუნთქვა ლექსში.

დიახ, ლექსში პოეტური ენერჯის თავისუფალი სუნთქვა არაფრით არ უნდა შეიზღუდოს. ავტორის მხრიდან ლექსის ვერსიფიკაციულ ნორმებზე საუბარი მხოლოდ იმას გულისხმობს, რომ პოეზიამ თანაბრად უნდა იდინოს როგორც კონვენციური, ასევე თავისუფალი ლექსის ფორმებში. ესაა ამ გზაზე ენის განახლების და მრავალფეროვნების გარანტი, გარანტი თავად ერის მომავლისა.

დასასრული იქნება



გურამ ბათიაშვილი

იკაკო, მოგაკითხავ და აეროპორტში მე მიგიყვან - გაგაცილებო. დანიელი ეცადა, გადაეთქმევიანებინა: ამ გამთენიის ხანს - დილის ოთხ საათზე, როცა ძილი გემრიელია, ლოგინიდან რატომ უნდა წამოხტე, ტაქსით წავალო. იკაკომ სიცილი მორთო: ევროპაში ხომ არა გგონია თავი, დარეკო და ტაქსიმ სახლში მოგაკითხოს - დილის ოთხ საათზე ტაქსის სად წახვავ, შესაძლოა, აეროპორტში დაიგვიანო კიდევო. დანიელი მინაც თავისაზე იდგა: არაო - არ ენადა, ადამიანი მისი ხათრით დილა-ბნელზე ლოგინიდან წამოხტარიყო, თანაც ზურაბის იმედი ჰქონდა: ორიოდე დღის წინათ, მე პარლამენტის მანქანა მომემსახურებდა, ის გამიყვანა აეროპორტში, თქვა. დანიელი ფიქრობდა, გამომივლის და ერთად წავალთო, მაგრამ, ზურაბმა რომ აღარაფერი შესთავაზა, იკაკომ კი ისეთი გულწრფელობით იკითხა, რატომ არ მამალეე საშუალებას, ღირსეულს პატივს მივაგებდე: თუ შენს, შენწარი ადამიანთა წინაშე, ჩვენს ვალს არ აღვასრულებთ, ისე არ მოვექცევით, როგორც ინსახურებენ, რის მაქნისნი ვართო. დაყბულდა დანიელი: კარგი, ეგრე იყოსო. იკაკო თხუთმეტი წუთით ადრე მოვიდა და ისეთი ხმაური ატეხა, სამეზობლოს ძილი დაუფრთხო: გაბაბული სიგნალით იტყობინებოდა, მოვედი, აქა ვარო. როგორც ჩანს, მანქანაში განსხვავებული - ათჯერ უფრო ყლერადი, ვიდრე ჩვეულებრივი სამანქანო, სიგნალი ეყენა. ასეთი სიგნალის დაყენება არც იყო ნებადართული, მაგრამ იკაკო პოპულარულ ადამიანად მიიჩნეოდა და ავტოინსპექტორები არ აჩერებდნენ - საქართველოში მოპულარობას ხომ თავს უღერებენ!

ქუჩებში მანქანები კანტიკულტად მოძრაობდნენ - დანიელმა აეროპორტამდე ორიოდე ტაქსი თუ შენიშნა: ბენზინი ძალიან ჭირდა: ადამიანები საათობით იდგნენ რაგში, რომ თუნდაც ათიოდ ლიტრი სანავი ეშოვნათ... ბარსელონაში სასტუმროში შევიდნენ თუ არა, იმაზე დაინყეს ბჭობა, ჯერ პიკასოს ყმანელობის დროინდელი ნახატების მუზეუმი ენახათ, თუ გაუღის პარკი და „სოგრადა ფამილია“. ვერც პარკი, ვერც მონასტერი „სოგრადა“, გასაგები მიზეზების გამო, ვერსად წავლენ, აი, მუზეუმი კი შესაძლოა დაიკეტოს - ჩვენ ხომ ამათი განრჩევი არ ვიციოთო, ამიტომ ჯერ მუზეუმის ნახვა ირჩიეს. პორტიემ, ქალაქის რუკას რომ აძლევდათ, ხომ თქვა, მუზეუმი აქვე, ახლოს არისო. დღის გეგმა ასე შეადგინეს: პიკასოს მუზეუმი, გაუღის პარკი და „სოგრადა ფამილია“, საღამოს კი სინაგოგაში წასვლა. დღეს ხომ პარასკევია, საღამოს შაბათი იწყება და ვნახოთ, ერთი, ესპანეთის ებრაელები „დედოფალი შაბათის“ შემობრძანებას, როგორ ხვდებიანო. ადარც დაახანეს: სასტუმროდან გავიდნენ და მუზეუმის მიმართულებით წავიდნენ. ხუთიოდ წუთის სიარულის შემდეგ მათ უკან მავალ ორ მოზაასე კაცს მოუბრუნდნენ - ერთ მათგანს კომპინეზონი ნაირ-ნაირი ფერის საღებავებით ჰქონდა მოთხერილი, მეორეს კი კოსტუმი ეცვა და ფერადი ჰალსტუხიც ეკეთა. აბა, მუზეუმის ადგილის გაგებას რა ესპანურის ცოდნა სჭირდებოდა -

„პიკასო, მუზეონ?“ კითხვის ინტონაციით წარმოთქვა ზურაბმა. ისინი კი შეჩერდნენ. ჯერ ზურაბი შეათვალიერეს, მერე დანიელი. პალსტუხიანმა ქართულად თქვა: „გამოგვეყვით, ჩვენც იქით მივდივართ!“ დანიელმა დაგზავნა კვლავაც დინჯი ბასით განაგრძეს. სახტად დარჩენილი დანიელიცა და ზურაბიც უხმოდ მიჰყვნენ. „არ არის აუცილებელი იმის თქმა, რომ მე დეპუტატი ვარ!“ უჩურჩულა ზურაბმა დანიელს, რომელიც გაკვირვებულნი მიჩერდნენ. „ასეა საჭირო!“ ჩილიაპარაკა ზურაბმა. ალბათ, ხუთიოდ წუთი თუ იარეს - ხიდთან პალსტუხიანი კომპინეზონიანს დაემშვიდობა და სტუმრებს მოუბრუნდა: „დღი ხანია აქეთ ხართ?“ - სასხვათაშორისოდ იკითხა, თორემ საფიქრალი სხვა რამ ჰქონდა. ორი საათი არც იქნებოდა, რომ მოუგო ზურაბმა, იმ კაცს სახე გაუბრწყინდა და შეჩერდა: „პიკასოს მუზეუმი, აგერ, ის შენობაა, გადაღმა, შეგიძლიათ შეხვიდეთ, მაგრამ ძალიან მაძლობელი ვიქნები, ნახევარ საათს თუ მაჩუქებთ

საქაპური და გზაგაბი გარსელონაში საჭაპნიკო თავი რომანიდან „მზის კარავში“

- საქართველოს ამბები მაინტერესებს. თითო კათხა ცივი ლუდი დავლიოთ და კარგი თევზიც მივაყოლოთ“. დანიელმა და ზურაბმა ერთმანეთს გადახედეს, პალსტუხიანმა თანამგზავრებს ქოჭმანი რომ შეატყო, დასძინა: „მე არქიტექტორი ზურა ტყავადე გახლავარო?“ საქართველოს პრეზიდენტის - ზვიად გამსახურდიას მომხრე. ამის გამო სამშობლოში აღარ მეცხოვრებოდა და მთავრობას გამოვექეცი. წუ მეტყვით უარს, ნახევარი საათი მაჩუქეთ!“ ტყავადის ბოლო ფრაზაში მუდარა დაფარული არ იყო. ეს სახეზეც დაეტყო, ზურაბი, როგორც ჩანს, მის სადგუბატო პარტიასთან დაპირისპირებულადამიანებთან შეხვედრას ყველგან მოვლის და ამგვარი მომენტისათვის კარგად მომზადებული აღმოჩნდა - სათნო ღიმილითა და თანაგრძობის გამოხატვითი ინტონაციით დაუყოვნებლოდ თქვა: „მუზეუმში ქალბატონს უნდა შევხვდე, ვერ დავალალატებ, აგერ, ბატონი დანიელი გამოგყვებათ, იცნობდეთ - ჩვენი ცნობილი კომპოზიტორი დანიელ დეგარაშვილი!“ ზურა ტყავადეს სახეზე ღიმილი მოედო: „დაიცა, დაიცა... დეგარაშვილი... მე მუსიკის დიდი მოყვარული ვარ... პო, კი, როგორ არა, მინახავს... ახლავ... რა ჰქვია? „სიმღერა მეგობრობისა“ და ახ, „სიმღერა მეგობრობისა“. მინახავს თქვენი ოპერეტა. ძალიან სასიხარულოა, წუ მეტყვით უარს!“ ესპანეთში ჩასულ დანიელს დრო ლუდხანაში ჯდომისათვის არ ემეტებოდა, მაგრამ აქ კაცის სახეზე ისეთი მუდარა, ამოკითხა, ჩილიაპარაკა „კი, ბატონო!“ სხვა გზა აღარც დარჩენოდა - ის მომენტზე კი ვერ მოიხიბოდა, ზურაბი აქაურობას როდის და როგორ გაეცალა.

ზურა ტყავადემ თბილისზე უამრავი რამ იკითხა, თავისი მეგობარ-ნაცნობების ამბები აინტერესებდა, ამას თუ იცნობ, რას შერება, ხომ არ დაუჭეროათ, იმის ამბავი ხომ არაფერი იციო, მერე ზვიად გამსახურდიას ღირსებებსა და მისი დამამხობელი „ხუნტის“ ავტორებზე ალაპარაკა: „მარჯანიშვილის მოედანზე არქიტექტორთა გაერთიანებაში ემუშაობდი, დასავლეთ საქართველოში ორი კომპოზიცია დავდეგი: ომგადახდელთა მემორიალი ჩემი შექმნილია, „სიყვარულის სასახლე“ ჩემი ნახელავია და ახლავარდობის პარკიც, ხუნტამ კი სამსახურიდან გამომავლო, ულუკმაპუროდ დამტოვა. ჩემს მშობლორ ქალაქში ექვსი თვე უაზროდ ვიხტიალდე, მერე თურქეთში წავედი,

მეტვითავად ვმუშაობდი. ის მამაძალი მეპატრონე მატყუებდა: იმის ნახევარს არ მიხდოდა, რაც მეკუთვნოდა. აქეთ წამოვედი. დამეებს პარკში ვათენებდი - იმ ცხონებულებს საჩემო კომპოზიციები შეუქმნიათ: ქარისგანაც მიცავდა და წვიმისგანაც, თან ვერაფერ მხედავდა. ქუჩებსაც ვხევეტდი, ვაგონებსაც ვტვირთავდი მანამ, სანამ ერთი გოგო არ გავიცანი, - ტყავადემ ლუდს მერორჭიქა არაყიც რომ დაუმატა, მწარედ შესძახა: „რატომ, მითხარით, რატომ არ უნდა მეცხოვრებოდეს ჩემს სამშობლოში, წუთუ, ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტის ერთგულება დანაშაულია?“ დანიელს ისეთი შეგრძნება დაეუფლა, თითქოს ერთი იმთაგანი იყო, ვინც ტყავადემ სამშობლოდან გააქცია. დღისით თუ ღამით მუსიკას უტრიალებდა, სიტყვებზე უფრო მანგებს აყურადებდა - მათ ტყვეობაში იყო. ბევრმა მოვლენამ ისე ჩაიარა, თავის საქმეში ჩაფლულს თითქმის არც უგრძნია. რახან ასეთი რამ ჩემს დროში ხდებოდა, ალბათ, მეც პრალეული ვა-

საქაპური და გზაგაბი გარსელონაში საჭაპნიკო თავი რომანიდან „მზის კარავში“

რო ფიქრობდა. მერე ხმადალა იკითხა: „ახლა? ახლა როგორა ხართ?“ „ქუჩაში აღარ ვათენებ. ცოლი შევირთე, სახლიცა მაქვს და ფირმიც, მაგრამ შვიდილება, კარგად იყოს ადამიანი, რომელსაც ყოველ დამე... - ნერწყვი გადავყავა და განაგრძო: ყოველ დამე თავისი ქუჩა და სახლი ესიზმრება? როგორც ჩანს, ამ სენს ვერც მოვიშორებთ. ეს არის ჩვენი ბედისწერა - ტრაკის კარგ სავარძელში ჩადებისათვის იმ სავარძლის ფეხები ერთმანეთს თავში უნდა ვურტყათ. ქვეყნის სადავეები ხელში მოსაგდებად არაფერზე ვამბობთ უარს...“ „არა, არა, ეგრე წუ იტყვით. ხომ ვიყავით ერთმანეთის მოყვარულნი, ერთმანეთის ხილვა გვიხაროდა“. ტყავადეს მზერა აენთო: „მშვიდად კი არ ვიყავით, დამპყრობელი, მოძალადე თავზე გვაჯდა და ენა გვექონდა ჩაგდებული. დამპყრობელი გაგვეცალა და ერთმანეთს დავერიეთ!“

და, როცა ზურა ტყავადე და დანიელი ერთმანეთს დაემშვიდობნენ, დანიელი პიკასოს მუზეუმში არ შევიდა - გულგრილად აუარა გვერდის განწყობილება, რომელიც ტყავადესთან შეხვედრისას დაეუფლა, სამუზეუმო არ იყო - ნახატებზე თვალის შევლვა გამოუვიდოდა და არა ალქმა, მას კი ყმანელო პიკასოს სულში ჩახედვა ენადა. დღევანდელი დღე ზურა ტყავადისა გამოდგა, უფრო ზუსტად, საქართველოს მწარე ბედზე ფიქრისა, ამიტომ, გაუღის პარკისაკენ როგორ ვიარო, იკითხა, - იმის იმედიცა ჰქონდა, ზურაბი, ალბათ, იქ არისო და სწორედ იქით გასწია. პარკში ბევრი იარა, გაუღის ნახელავი ამშვიდებდა, მწარე ფიქრს უკუაგდებინებდა - სულიდან გამოდევნიდა კიდევ, მაგრამ სიმწარემორეული ზურა ტყავადის სახე მანაც თან სდევდა. პარკში იმდენი იარა, მოიქანცა, ჩამოჯდა. ლუდმა, ცოტა არაყმაც, თვლემ მოგვარა, ჩათვლიმა კიდევ - ორჯერ თავი ისე ჩაეკინდრა, ნიკაბი ღამის მეკრე დახალა. აღარ გაუძლიანდა და ჩაიძინა. სულ რამდენიმე წუთით. მერე მოიხიბ-მოიხიდა. ადამიანები უმფოთელად მიმოდიოდნენ. ჩანთიდან ხაჭაპური ამოიღო და მოკბინა. როგორც ჩანს, ჩაქებრისას ხაჭაპურის რამდენიმე ნაფხვენი მინაზე დაცვივდა - ორი-სამი მტრედი უმალ მის ფეხებთან გაჩნდა და ნაფხვენის კენკვა დაიწყეს. ჩქარ-ჩქარა, დაუხანებლად კენკვენ, თითქოს ფამი ენურებათ და, არიქა, მოვასწროთო.

თან საამოდ ლულუნებენ. „მეგრული ხაჭაპური ესპანელ მტრედებსაც კი ეამათ!“ ღიმილით გაიფიქრა დანიელმა და რამდენიმე ნაფხვენი დაყარა მინაზე. მტრედების ლულუნი მისთვის ჯერაც შეუცნობ მუსიკად ჩაესმოდა, რიტმიც თავისებური გახლდათ - გაუღის პარკის ხეთა ფოთლების შრიალისაგან სრულიად განსხვავებული. ეგრერიად მოლულუნე მტრედებს სიამით დასცქეროდა. ამათ სხვა მტრედებიც შემოუერთდნენ. როგორ შეიტყვეს, რომ აქ გემრიელ საკენკს შეექცევიან? სუნი ეცათ? გუშინ თბილისში გამომცხვარ ხაჭაპურს დღეს ბარსელონაში რა ისეთი სუნი უნდა ჰქონდეს, რომ ამდენ მტრედს მოუხმოს? როგორ მომრავლდნენ სხვადასხვა ფერის, სიმსუქნის მტრედები მოფრინდნენ. ერთი ვიშვი-შით მოდიან. აი, გულმეკრდზე რუხბუბულიანი, ლავარდისფერფრთებიანი ჩასუქებული მტრედი მინაზე დაეშვა. მამალი უნდა იყოს. შეკრებილთ ამაყად გადახედა, თითქოს კითხულობდა, აქ რა ხდება, უჩემოდ რად შეკრებილხართო, მერე იმანაც საკენკს დაუწყო ხება. დანიელმა ხაჭაპურს კიდევ ჩამოაფშვინა, მინაზე დაყარა და მზეს ახედა - სალოცავში ხომ არ გვეგანდებოთო. დაფლეთილ, გამჭვირვალე ღრუბლებს მიაცქერდა - მველ მზეს დაეფლითა: მდორედ მოძრაობდნენ, ერთ ადგილზე უხალისოდ ტრიალებდნენ. წასვლის დროაო, გაიფიქრა და, ვიდრე ადგებოდა, მტრედებისაკენ იბრუნა პირი. უცნაური, მოულოდნელი რამ იხილა: ეს ამდრეებულ-ალულუნებული მტრედები უკვე აღარ ლულუნებენ: საკენკს დაეძებენ. ამდენ მოძმეთა შორის - სიფინროვეში თავისი ადგილის შენარჩუნებას ან მოპოვებას ცდილობენ. ამისათვის ერთმანეთს ეხლებიან. დანიელმა რომ დაინახა, ამდენი მტრედი მოგროვილიყო, ჩანთიდან კიდევ ერთი ხაჭაპური ამოიღო, მოტეხა და მტრედებს დაუყარა - უკვე არა ნამცეცხბს, ნაფხვენებს ყრის და ისინიც დაუხანებლად ესევიან - ერთი აურზაურით, ხმაურით, დანიელისათვის აქამდე უცნობ ხმას გამოსცემენ. მტრედების ყეფა? წკაწკაყი? ასეთი რამ არასოდეს სმენია. ეჩვენება, რომ ეს მშვიდი, მოლულუნე ფრინველი დაუნდობელ მტაცებლებად იქცნენ: მოჭიდავე ფალავნებივით ერთმანეთს მეკრდით ეხლებიან, ბუმბულს ნინკნინან, ნისკარტს თავში უკაკუნებენ. იქნებ, ჩემი ფეხები უქმნით სიფინროვესო, დანიელმა ფეხები სკამზე აიკეცა და ნახევარი ხაჭაპური თითქმის დაუფშვინელად დააგლო მინაზე. საშინელი ორომტრიალი ატყდა - მტრედებისგან სრულიად მოულოდნელი - უსამოვნო, ყრფოლის მომგვრელი ხმა - მტრობის, დაუდობლობის ხმა. „აი, მტრობის, სიძულვილის მუსიკალური ბგერები, რიტმი, ფლერდობა“. დანიელმა ყურებზე ხელები აიფარა. მტრედები არა იმდენად ხაჭაპურს, ერთმანეთს დაერივნენ: ჩემია, მე მეკუთვნის და წუ ეკარებიო. ის რუხი ფერის მტრედი წრიდან გამოაგდეს... სხვებიც გამოაძვეეს... ჩვენ გვეკუთვნის, წუ ეკარებიო... აი, ზურა ტყავადე... წრეს გარს უღლის... ისინი ხაჭაპურის დიდ ნაჭერს თავად მიადგენენ... შექცევიან... ზურა და მისი მეგობრები კი წკაწკაყებენ... ესენი აღარა: რახან ხაჭაპური ხელთ იგდეს, ძლიერთა ღიმილით დააბიჯებენ, დამშვიდდნენ. ადრინდელივით ლულუნებენ კიდევ, დანიელს სიბრაზე მოიერიან - სწორედ იმ მტრედებს უბრაზდებოდა, რომლებმაც მოძმენი გააძვეეს და საამო ლულუნი მორთეს. წამოდგა. სასტუმროსაკენ ჩქარა ნაბიჯით გასწია. ზურაბი ნომერში დახვდა. ისე, როგორც ძალიან ხშირად, ტუალეტში იჯდა. მიახახა, თუ არ დააჩქარებ, სალოცავში დავგიგვიანდებო და წვერის გაპარსვას შეუდგა - პარასკევ საღამოს, შაბათის წინ, წვერს უსათუოდ იპარსავდა. ზურაბი ტუალეტიდან გამოვიდა, ბოდიში მოიხადა: რა გქნა, კუჭ-ნაწლავის ისეთი პრობლემა მაქვს, უნდა გამიგო. რატომ დროზე არ მი-

ხედავ თავს, ახალგაზრდა აღარა ხარ, რატომ არ მეკურნალობო, დანიელმა რომ ჰკითხა, ზურაბმა ხელი ჩაიქნია: პროფესორმა მოდებამე რა ღონეს არ მიმართა, მაგრამ... მზე საბუღაროსაკენ ეშვებოდა, მინაც ცხელოდა. მოუხედავად ამისა, კოსტუმებიც ჩაიცვინა და პალსტუხებიც გაიკეთეს: აქაურ ჯამათს ქართველ ებრაელობაზე კარგი წარმოდგენა უნდა შეუქმნათო. ფოიეში პორტიეს ჰკითხეს, სინაგოგა საით არის, როგორ ვიაროთო. პორტიე ქალაქის რუკას კარგა ხანს ჩასცქეროდა, მერე თქვა, სასტუმროდან რომ გახვალთ, ხელმარცხნივ იარეთ, მეტროში ჩადით, ისევ მარცხენა მხარე დაიჭირეთ, ვაგონებში ჩასხედით და მეხუთე გაჩერებაზე ამოდიოთ - სინაგოგა იქვე არისო. ასეც მოიქცნენ. მეხუთე გაჩერებაზე მეტროდან რომ ამოვიდნენ, აქ სადაც სინაგოგა უნდა იყოსო, იკითხეს. პირველმა რომ მხრები აიწურა, თითქოს დათქმული ჰქონდათ: მეორემაც იგივე ენა და შესამეხაც. მეოთხემ საერთოდ არაფერი მოუგო - შეკითხვა უპასუხოდ დატოვა და გზა განაგრძო, მეხუთე კი გაბრაზდა: მე რა ვიცი ან რატომ უნდა ვიცოდე, სინაგოგა სად არის, მეტად აღარ მკითხოთო, თითქოს დანიელიცა და ზურაბიც მომავალ პარასკევსაც აქ აპირებდნენ მოსვლას, უნდა თუ არ უნდა, მოსწონს მას ეს თუ არ მოსწონს, სწორედ ამ კაცისაგან უნდა ვაგიგოთ, სად დგას ჩვენი სალოცავიო. ამათ საუბარში ვილაც ხელჯობიანი ხანდაზმული კაცი ჩაერია: გეტყობათ, სტუმრები ხართ, შეგეშალათ, აქ კი არა, მომდევნო გაჩერებაზე უნდა ამოსულიყავითო. აბა, შე, ისე მეტროში, თორემ გვიანდება: სადაცაა შაბათი შემობრძანდება დანიელიცა და ზურაბიც მომდევნო გაჩერებაზე ესკალატორზე ღამის არბოდნენ. მეტროდან გავიდნენ თუ არა, ახალგაზრდა კაცს უთხრეს, აქ სადაც სინაგოგა უნდა იყოს, ხომ ვერ მიგვასწავლითო. კი, ბატონო, აგერ, ხელმარჯვნივ მოუხვიეთ და იქვე დაინახავთო, ნაბიჯი ააჩქარეს და, რომ ვერაფერი დაინახეს, ეზოში მისურით გამოსულ, ლუდით ღიმილატყეულ კაცებს ჰკითხეს, აქ სინაგოგა სად... იმან კი დანიელს წინადადება არც დაამთავრებინა, ხელმარცხნივ, პირველი მოსახვევიო, მეორემ, ლუდის ბოთლი პირთან რომ ჰქონდა მიტანილი და ის-ის იყო, უნდა გადაეყლურნა, ღიმილით იკითხა: რა ხდება, დღეს ამდენი ხალხი რატომ მიდის მაგ სინაგოგაში? პასუხი აღარ მისცეს, დრო ძვირად უღირდათ, თავზე პანია ქუდები დაიფარეს და მოსახვევისაკენ გასწიეს, ოციოდ ნაბიჯის მერე მოუხვიეს. მოუხვიეს და... მათ წინ მეჩეთი აღიმართა. ადამიანებს მეჩეთში ლოცვა დემთავრებინათ და უკვე ქუჩას ფინებოდნენ, შესასვლელთან შეჯგუფულმა ახალგაზრდებმა ორი მათკენ ჩქარი ნაბიჯით მომავალი ებრაელი (ისეთი ქუდებით ეხურათ, მათი გამოცნობა იოლი გახლდათ) რომ დაინახეს, რაღაც შესახებეს. ამ შეხახილზე რამდენიმე ახალგაზრდა ყალყზე შედგა. ზურაბმა კი რატომღაც მეგრულად შესძახა: „აბა ულა, მალას!“ აქაურობას სწრაფად გაეცვალათო და მათი ასაკისათვის მოულოდნელი სიჩაუქით მოკურცხლეს: ხან ზურაბი დანიელადგებოდა, ხანაც დანიელი. ასე ირბინეს მეტრომდე. მეტროსთან თავი სამშვიდობოს იგულეეს. „რას ნიშნავს, როცა ადამიანებმა არ იციან, მათ სახლთან სინაგოგა დგას თუ მეჩეთი?“ იკითხა დანიელმა, როცა აჩქარებული გულსიცემა დაიკცრო. ზურაბი ჯიხურთან მივიდა, ნაყინი იყოდა, პალსტუხი მოუშვა და თქვა: მართალი ყოფილა ის ფრანგი ყურნალისტი: მალე ჩვენს დედაქალაქში პარიზის ღეთისმშობლის მეჩეთი გვექნებაო, რომ წერდა. ასე იცის, როცა სექსზე და კუჭზე ფიქრს გაბაძყებენ!



გი დე მოქასანი

სარკველი

მადამ დე ფადელი ამ ზამთარს გავიცანო პარიზში და მაშინვე მოვიხიბლე მისი მშვენიერი გარეგნობით. სხვათაშორის, თქვენც უნდა გეცნობოდეთ ეს ქალბატონი, ვფიქრობ, ჩემზე უკეთ. მოგესხენებათ, როგორი პოეტური, უბრალო და მგრძობიარე სულის ადამიანია. აქვე დავამატებ: უმშაბრი და თავისუფლების მოტრფიალი, ყოველგვარ ცრურწმენებზე მაღლა დგას და მაინც სენტიმენტალური ბუნების, სათუთი, უბინო და სინაზით გამორჩეულია.

იგი ამ დროისათვის ქვრივი იყო. მე, ცოტა არ იყოს, ჭირვეულ ქალიშვილებთან ყოფნას ქვრივებთან ურთიერთობას ვამჯობინებ. იმ პერიოდში უკვე ცოლის შერთვა დავაპირე და მადამს არშიყობა დავუწყე. რაც უფრო ახლოს ვეცნობოდი, მით უფრო აღტაცებული ვიყავი მისით. ბოლოს და ბოლოს, გაბედულება მოვიკრიბე და მისთვის ხელის თხოვნა განვიზრახე. გულში ისე ძლიერად ჩამივარდა, რომ მოსვენება დავკარგე. თუმცა, როცა ქორწინდებოდა, აუცილებელი სულაც არ არის, მომავალი მეუღლე სიგიჟემდე გიყვარდეს, რადგან ასეთ შემთხვევაში დიდი ალბათობაა იმისა, სისულელები ჩაიდინო, სიმშვიდე წაგერთვას და ბრიყვივით მიმნდობი ან უხეში გახდეს. თავი ხელში უნდა აიყვანო, თორემ, თუ პირველივე ღამეს გინება დავტყობინა, უნდა ივარაუდო, რომ ერთი წლის შემდეგ არასახარბიელო მდგომარეობაში აღმოჩნდები.

ერთ მშვენიერ დღესაც მე მადამ ფადელის წინაშე წარვდექი ღია ფერის ხელთათმანებით და პირდაპირ მივახალე:

– მადამ, თავს ბედნიერ კაცად მივიჩნევ, თქვენ რომ შემიყვარდით. ჰოდა, მინდა დიცოდეთ, შემიძლია თუ არა დავიტოვო იმედი ნატამალის მაინც, რომ ჩემი გრძობები უპასუხო არ დარჩება და შემიყვარებთ. ასე რომ მოხდეს, მე არაფერს დავიშურებდი. ხართ თუ არა თანახმა, მომავალში ჩემი გვარი ატაროთ, ანუ ჩემი ცხოვრების თანამგზავრი გახდეთ?

ქალმა მშვიდად მიპასუხა:

– რატომ ჩქარობთ, ბატონო! დაბეჯითებით ვერ გეტყვით, ადრე თუ გვიან ჩემს კეთილგანწყობას დაიმსახურებთ-მეთქი. როგორც მამაკაცი, ურიგო ნამდვილად არ გეტქმით, მაგრამ ეს ყველაფერი არაა. მე უნდა გამოგცადოთ, გავიგო, როგორი გული, როგორი ხასიათი და ჩვევები გაქვთ. ქორწინებას არცთუ იშვიათად ცოლ-ქმარს შორის კინკლაობა მოსდევს, რამაც შეიძლება დანაშაულის ჩადენამდე მიიყვანოს ისინი და, იცი, ჩემო კარგო, რატომ ხდება ასე? ეს იმიტომ, რომ შეუძლებელად წყვილი ცუდად იცნობდა ერთმანეთს. მცირე საბაბიც კი, დაფინებული ახირება ზნეობასა და რელიგიურ თემებზე და, სულერთია, რაზე ნამოჭრილი მსჯელობა, არასასურველი ფესტი, მავნე ჩვევა და უმნიშვნელო ნაკლიც შეიძლება საკმარისი აღმოჩნდეს, რომ ვნებიანი და ნაზი სიყვარულით დაკავშირებული ორი არსება, რომელთაც საუკუნოდ ერთად ყოფნის ფიცი დადეს, ერთმანეთის დაუძინებელი მტერი გახდეს. მე მანამდე არ მივცემ თავს გათხოვების უფლებას, სანამ ჩემი მომავალი მეუღლის სულის საიდუმლო კუნჭულებში არ ჩავიხედავ. სამი თვე მაინც დამჭირდება, ახლო ერთიერთობაში, თავისუფლებაში რომ დავაკვირდე. აი, რას შემოგთავაზებ, მეგობარო! ჩამოდი ზაფხულში ჩემთან მამულში, ლოვინში და ნათელი მოეფინება, ვართ თუ არა შექმნილი ერთობლივი ცხოვრებისათვის. ვხედავ, რომ ჩემს ნათქვამზე გეღიზნებათ. ვფიქრობ, ცუდად გამიგეთ. ო, ბატონო! ჩემს თავში დარწმუნებული რომ არ ვიყო, ასეთ წინადადებას არც შემოგთავაზებდით. იმის მიმართ კი, რასაც თქვენ, მამაკაცები, სიყვარულს ეძახით, მე მხოლოდ ზიზღი გამაჩნია. ასე რომ, დამარცხება შეუძლებელი და წარმოუდგენელია ჩემთვის. მაშ, მოემზადეთ, თანახმა ხართ ამ პირობაზე?

მე მას ხელზე ვემბორე.
– აბა, როდის გავემზავრებით, მადამ?
– ათი მაისისათვის, გასაგებია?
– კეთილი, ქალბატონო!
ერთი თვის თავზე მასთან მოვეწყვე. ის, მართლაც, არაჩვეულებრივი ქალბატონი იყო. დიდიდან საღამომდე მე მისი დაკვირ-

ვების საგანი ვიყავი. ძალიან მოსწონდა ცხენით ჯირითი და ჩვენც ყოველდღე მთელ საათებს ვატარებდით ერთად ტყეში; რაზე არ ვსაუბრობდით. იგი ცდილობდა ჩემი ფიქრების გამოცნობას თვით უმნიშვნელო მოძრაობაშიც კი.

ყურებამდე შეყვარებული ვიყავი და საერთოდ არ მალეულებოდა, ხასიათებით ვენყობოდით თუ არა ერთმანეთს. სულ მალე ისიც შევნიშნე, რომ ძილშიაც მითვალთვალდნენ. ვილაცას ჩემი ოთახის გვერდით, პატარა ოთახში ეძინა, სადაც გვიან ღამით დიდი სიფრთხილით შედიოდა. ასეთმა „ჯაშუსობამ“ და მუდმივმა თვალთვალმა სიმშვიდე დამაკარგვინა და, მეც გადავწყვიტე, რაც შეიძლება მალე გამეხსნა კვანძი.

ჰოდა, ერთ საღამოს შევეცადე, მეტი ფხიანობა გამოემჩინა, რაზედაც მადამ ფადელს ისეთი რეაქცია ჰქონდა, რომ შემდგომი მცდელობების სურვილი ჩამიკლა, მაგრამ, ამასთან, ძლიერ მომიხდა, მისთვის სამაგიერო მიმეზღო, სულერთია, რა გზით, ოღონდაც ბოლო მომელო ამ პოლიციური რეჟიმისათვის, რომელშიც მან ჩამაყენა. და მეც ვიპოვე გზა. თქვენ იცნობთ, მგონი, სეზარინას, მის მოახლეს, მშვენიერ ქალიშვილს, რომელიც წარმოშობით გრანვილიდან იყო. გაგონილი გექნებათ, ეს ლამაზი ქალებით განთქმული მხარეა. ოღონდაც, თავისი ქალბატონისგან განსხვავებით, ის ქერა იყო.

ერთხელ, სადილის შემდეგ, იგი ჩემთან, ჩემს ოთახში ვიხმე, ხელში ასფრანკიანი მივაჩრე და ვუთხარი:

– ჩემო ძვირფასო გოგონა! იცოდეთ, სივლანის ჩადენას ნამდვილად არ გთხოვ, მე მხოლოდ მინდა სამაგიერო გადავუხადო შენს ქალბატონს და ისე მოვექცე, როგორც თვითონ მექცევა.

ჩემს ნათქვამზე მოახლემ ეშმაკურად ჩაიღიმა.

მე განვაგრძე:

– კარგად ვიცი, რომ დღისით და, წარმოიდგინეთ, ღამითაც, მითვალთვალდნენ. მაკვირდებოდა, როგორ ვჭამ, როგორ ვსვამ, როგორ მძინავს, ვიცვამ, ვიპარავ ნევრს, ვიცვამ წინდებს და ა.შ.

– აბა, რას ამბობთ, ბატონო! – ბუტბუტით წარმოთქვა მოახლემ და იქვე გაჩუმდა.

– შენ ჩემი ოთახის გვერდით გძინავს და დავალებული გაქვს, რომისმინო, ხომ არ ვხვრინავ ან სიზმარში ხომ არ გაყვები. არ მითხრა, ასე არააო.

ამაზე გოგონამ გულიანად გადაიკისკისა და ჩაიჩურჩულა:

– ოო, რას ამბობთ, ბატონო! – და ისევ გაჩუმდა.

მე თანდათან უფრო და უფრო ვცხარდებოდი.

– აი რა, ჩემო კარგო! უსამართლობა არაა, ყველაფერი იცოდნენ ჩემ შესახებ, მე კი არაფერი ვიცოდე მომავალ მეუღლეზე?! მე ის სულითა და გულით მიყვარს, ისეთი მოხდენილი, სათუთი გულისა და ნათელი გონების ბატონია, ისეთი, როგორზედაც ვოცნებობდი. ამიტომაც, ბედნიერ მამაკაცად ვგრძნობ თავს, თუმცა არის ისეთი იდუმალი რამეები, ვისურვებდი მათზე გარკვეული წარმოდგენა მაინც შექმნოდა.

ცოტაოდენი ყოყმანის შემდეგ სეზარინამ გადაწყვიტა, ჩემ მიერ შეთავაზებული საბანკო კრედიტი გულის ჯიბეში ჩაეცურებინა. მორჩა! ჩვენ შორის გარიგება შედგა.

– მისმინეთ! ჩვენ, მამაკაცები, დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ ზოგიერთ რამეს ქალის სხეულის აღნაგობაში, რაც შეიძლება ქალს დიდად არ აზარალებდეს, მაგრამ ჩვენს თვალში ფასს უკარგავს. მე არ გთხოვ, რაიმე სისაძაგლე თქვა შენს ქალბატონზე და მისი დამალული ხინჯი გამოამზეურო, თუ ის საერთოდ გააჩნია, მაგრამ მინდა, გულახდილად მიპასუხო შეკითხვებზე, რომელთაც დაგისვამ. შენ საკუთარი თავივით იცნობ მადამ დე ფადელს, რადგან მას ყოველდღიურად ხდი და აცმევ ტანისამოსს, აბა, თქვი, მართლა ისეთი ტანსრულია, როგორც სინამდვილეში გამოიყურება?

ამჯერად სეზარინამ უპასუხოდ დამიტოვა.

მე განვაგრძობდი:

– შენ, რა თქმა უნდა, იცი, რომ არიან ქალები, სხეულის ზოგ ნაწილზე ბამბებს რომ იდებენ, უფრო მეტად მკერდზე და კიდევ თქმობზე. მითხარი, შენი ქალბატონი ასე იქცევა?

სეზარინამ თვალები მოჭუტა და მორცხვად წარმოთქვა:

– კიდევ შემეკითხეთ, მე მაშინვე გიპასუხებო.

– ზოგ ქალს შეწული მუხლები აქვს, რომლებიც ყოველ ნაბიჯზე ეხება ერთმანეთს, სხეებს, პირიქით, დაშორებული აქვს და მათი ფეხები ხიდის თაღს გვაგონებს. შენს პატრონს როგორი აქვს?

მოახლემ დუმული ამჯობინა.

მე ისევ განვაგრძობდი:



– ბევრ ქალს ლამაზი მკერდი აქვს, მაგრამ ირგვლივ ნაოჭები დაუყვება; ზოგს მსუქანი მკლავები აქვს, წელი-წვრილი, ზოგი წინახედიდან სქელია, უკანა ტანი თხელი აქვს, ან პირიქით. ამავს არა უშავს, მაგრამ მაინც უნდა მაცოდინო, როგორია შენი ქალბატონი. გთხოვ, იყო გულახდილი. მე კიდევ დავასაჩუქრებ.

– ბატონო! თუ იმას არ მივიღებთ მხედველობაში, რომ ჩემი ქალბატონი შავგვრემანია, მას ზუსტად ისეთივე აღნაგობა აქვს, როგორც მე.

სეზარინამ პირდაპირ თვალბეჭდით შემომხედა და გადაიხარხარა, შემდეგ მრავალმნიშვნელოვნად გაიღიმა და გაიქცა.

ცხადია, ჩემი გაბრწყინება სურდა.

ამჟამად, თქმა არ უნდა, სასაცილო მდგომარეობაში აღმოვჩნდი და გადავწყვიტე, უტიფარ მოახლეზე მაინც მეძია შური. ერთი საათის შემდეგ დიდი სიფრთხილით გადავინე ურდული და შევაღე იმ ოთახის კარი, საიდანაც იგი ჩემს ძილს ყარაულობდა.

სეზარინა თავის სამეთვალყურეო პოსტზე შუალამისთვის გამოჩნდა. მაშინვე უკან დავედევნე. როცა შემამჩნია, ყვირილი დააპირა, მე პირზე ხელი ავავარე და ჩემს ოთახში ძალით შევიყვანე. მერე, მოგახსენებთ, არცთუ დიდად გამძნელებია იმაში გარკვევა, გოგონას ნათქვამი სიმართლეს შეეფერებოდა თუ არა. ქალბატონი ფადელი, მართლაც, უზადო აღნაგობისა უნდა ყოფილიყო. ამაში დარწმუნებას მე მაშინვე გაფუგე გემო. შემდგომში ჩემი ურთიერთობა სეზარინასთან ძალიან შორს წავიდა, მაგრამ სიამოვნებას მომტეხილ სრულებით არ ყოფილა. უნდა ვაღიარო, ის იყო შესანიშნავი ნიშუში ძველი ნორმანდული რასის ძლიერი და მოხდენილი ქალისა, ვისითაც შეიძლება აღტაცებაში მოხვიდე. შესაძლებელია, მას არც კი ესმოდა, რა იგულისხმებოდა ნატიფ სხეულში, რასაც ვერც პენრი IV უფლებელყოფდა. ამ კუთხით მე ის მალე გავანათლებ და, რადგან ქალი სუნამოს გარეშე ვერ წარმომდგინა, ამავე საღამოს ვუსახსოვრე ლავანის არომატული ფლაკონი.

მალე იმაზე მეტად დავუახლოვდი ერთმანეთს, ვიდრე წარმოვიდგენდი.

ის იყო მომხიბვლელი საყვარელი, ეშმაკური, გამჭირიანი გონებისა. პარიზში რომ ეცხოვრა, მაღალი კლასის კურტიზან ქალებსაც უკან მოიტოვებდა. მისი აღერსიანი მოპყრობა ძალას მძლევდა. მოთმინებით ველოდებოდი მადამ დე ფადელის ექსპერიმენტის ფინალს და მეც მასთან ურთიერთობისას მეტად დამიყვარე, რბილი და დამყოლი გავხდი. ეჭვგარეშეა, ასეთი მოპყრობა ჩემს რჩეულს სიამოვნებდა. უკვე გუმანით ვხვდებოდი, რომ მალე ჩემს წინადადებაზე დამთანხმდებოდა. უბედნიერესი კაცი ვიყავი, რა თქმა უნდა, ახალგაზრდა, ლამაზი ქალის მკლავებში, რომლის მიმართ ნაზი

გრძნობები მამოძრავებდა და, ამავე დროს, მოთმინებით ველოდი კანონიერ ამბორს ქალისას, რომელიც მიყვარდა.

– ახლა კი, ჩემო ბატონო! თქვენ ცოტათი უხერხულობა შეგექმნებათ, რადგან უკვე დელიკატურად ადგილას მივალნი.

ერთ საღამოს, როცა ორივენი ცხენებით გასეირნების შემდეგ შინ ვბრუნდებოდით, მადამ დე ფადელმა მწარედ დაიჩივლა, რომ, მიუხედავად მისი მოთხოვნისა, მეჯინიბები სათანადოდ არ ზრუნავდნენ ცხენებზე: მიფ-

რობილდნენ, თორემ შავ დღეს დავაყრიო, – გამეორა რამდენჯერმე.

ლამე ჩემს სანოღში მშვიდად გავატარე. და ადრე დილით, როცა გავიღვიძე, ჩემს ძარღვებში მოზღვაებული ენერჯია და სიმხნევე შევიგრძენი. ტანზე ჩავიცვი და გარეთ გავედი, ჩვევად მქონდა სიგარეტი ციხე-დარბაზის ერთ-ერთ კოშკზე მომენია, სადაც აყვავიდი ხეულ კიბეს, რომელსაც მეორე სართულის სიმაღლეზე დიდი სარკმელი ანათებდა. მსუბუქი ნაბიჯებით მივიწვედი წინ. ფეხზე მაროკინის თბილი, დაბამული ფლოსტები მეცვა. პირველი საფეხურები რომ ავიარე, ფანჯარასთან დახრილი სეზარინა შევნიშნე, რომელიც გარეთ იხედებოდა. მთელი ტანით მე ის არ დამინახავს, მხოლოდ წელს ქვემოთ მოჩანდა. ო, როგორი მიმზიდველი იყო, მადამ დე ფადელისას კი ზედა ტანს ვამჯობინებდი. რა საოცრად მშვენიერი იყო ის, რაც ჩემი მხედველობის არეში მოექცა, მრგვალი, ქათქათა თეთრი, მოკლე კაბა ძლივს რომ ფარავდა. ისე ჩუმად მივეპარე, არც კი უგრძენია, მუხლებზე დავიჩოქე მის წინაშე, შემდეგ უდიდესი სიფრთხილით ნავატანე ხელი თხელი ქვედატანის ორივე ბოლოს, სწრაფად ნამოვუნე და... მაშინვე შევიცანი ჩემთვის საყვარელი ქალის სხეულის მრგვალი მოხაზულობა და მყისიერად მის ხავერდოვან კანს ვემბორე. ეს იყო საყვარლის კოცნა, რაც, რაოდენ გასაკვირიც უნდა ყოფილიყო, აკრძალული არ არის.

ძლიერ გავოცდი, როცა ვერბენას მძლავრი სურნელება შევიგრძენი. გონს მოსვლა ვერც კი მოვასწარი, რომ სახეში ძლიერმა სილამ გაიტლამუნა, ისეთმა, რომ კინალამ ცხვირი მომტეხა, ამას კვილი მოჰყვა და მეც თმა ყალყზე დამიდგა. ქალი ჩემკენ შემოტრიალდა – ეს თავად მადამ დე ფადელი გახლდათ. მან ხელები ისე გაასავსავა, იფიქრებდით, სადაცა გული წაუვაო. რამდენიმე წამით სუნთქვაშეკრული იდგა, მერე ისევ მომიღერა ხელი, თითქოს კვლავ დარტყმის მიპირებდა და სწრაფად გამშორდა.

არ გასულა ათი წუთი, რომ გავგებულმა სეზარინამ ბარათი გამომიწოდა. მაშინვე ნავიკითხე. აი, რა ეწერა შიგ: „ქალბატონი დე ფადელი იმედოვნებს, რომ ბატონი დე ბრიე ახლავე დატოვებს აქაურობას“.

რადას ვიზამდი, ნამოვედი.

შეგიძლიათ დამიჯეროთ, რომ დღესაც ვერ მოვსულვარ სრულ ჭკუაზე?! ყოველწინადა შევეცადე, ამხსნა ქალბატონისთვის, რომ ეპატიებინა ეს შეცდომა, მაგრამ ჩემი ყოველწინარი მცდელობა ამაო გამოდგა.

მას შემდეგ საკმაოდ დრო გავიდა, მაგრამ დღესაც არ დამვიწყებია ვერბენის სურნელება და კვლავაც მკლავს მწველი სურვილი, ისევ შევიგრძნო მისი თავბრუდამხვევი არომატი.

ფრანგულიდან თარგმნა
ნანა ახალაქი

ქვათახევი

რა სიმაღლეა
სულის პარნასი,
თოვლიან მწვერვალს
მზე ჩახვევია.
სულის საოხად
ელავს აღმასი –
ეს ეკლესია –
ქვათახევი...

გოგი ცოლოიძე

ასაკს ვინ მიგიხვდება,
სულ ჭაბუკი მგონიხარ,
ტანზე ჩოხა გიხდება,
უასაკო ლომი ხარ.
გამჭრიახი გონება,
ხასიათი – ქართული,
მტრობა ნუ ეგონებათ
ბრძოლები შემართული.
შენ გმირი ხარ მარაბდის,
არა მსხვერპლი ცდუნების,
გულით დაგაქვს მარადის
ხსოვნა ქუთათურების.
ბევრჯერ ცრემლით ნამული,
ხვდები, რომ არ ელოდი,
გადღეგრძელებს მამული –
შენი სადღეგრძელოთი...

ლოქსპრომეცარ ნინო
ანრონიყაშვილს

იქნებ, ჩიტმა გამანდოს,
მიტხრას, საით იჩქარის.
მე თვალემა დამადნო,
ლალი თავადის ქალის.
მოდის, როგორც ღვთაება,
მზეა, მზისებრ ანათებს.
გჩუქნის შიგ რომ გაება,
„სიყვარულის ბარათებს“.
მუდამ სახე მცინარი,
ბაგე-ბადაგ სოსანი,
არც იკითხავ, ვინ არი –
ხდები მისი მგოსანი.
ის ვარდით შლილია,
ხან შლეგია, ხან ნაზი,
ანდრონიკაშვილია –
რა თქმა უნდა, ლამაზი...

თარაშ

შვილიშვილს

შენს სახელს, თარაშს, ვიმეორებ,
თითქმის ყოველწამს,
ამიყვებ გული სიყვარულით –
ყოველის მომცველით.
ღირსმყო უფალმა ის, რაც
ჩემთვის უნდა მოეცა.
და არ გამწირა – დღენიადაგ
მისთვის მლოცველი.
შენს თოთო ხელებს რომ დავყურებ,
სული ნათდება,
სახეს დედიკოს ან მამიკოს
მსგავსი პროფილით.
ვერ ვგმობ ცხოვრებას, მოქუფრული
ცა მინათდება,
ნუთისოფელი არ მაშინებს –
ცრუ და ორპირი.
შენ გაჩნდი ქვეყნად,
საქართველოვ, ეგრემც იბევრე,
იხარე ჭერო, გონს მოეგე,
მტერო, წყეულო,
შენ მყავხარ, ბიჭო,
რას დამაკლებს ანი სიბერე,
შენ ერთი კაცით
შემმატე საგვარეულოს...

შემოდგომა.
სველი ფოთლებით
და მონატრებით
სული ივსება.
ნახვალ და

სევდით შევიმოსები,
მოხვალ და
მოგაქვს თავდავინყება.

იმ მდინარის გემინოდეს,
რომელიც არ ხმაურობს.

გალაკტიონი

მე შენი მეშინია,
როგორც მშვიდი მდინარის,
დაიყვება ფინიამ –
შეერთა ძილში მდინარი.
მწამდა ფრთა ანგელოსის –
წყნარი და უჩინარი,
სევდა საქართველოს
და ზეცა ნანვიმარი.
მე შენი მეშინია,
შენი ვარ პატიმარი...

უნივერსიტეტს

როგორ განამებენ, ნეტარს,
როგორ გიშანთავენ ძუძუს,
რითი განუგეშებ, ნეტავ,
ამდენ ტკივილისგან უძლურს.
ვაი, შე საბრალო დედავ,
რარიგ შეგპარვია მწუხრი,
ასეთ გატანჯულს რომ გხვდავ,
შენებრ მიკანკალებს მუხლი.
ნუთუ ქართველობა ნახდა?!
ან ვით აგვეშაღწენ შიგნით,
ვისი ოცნებები ახდა,
კრულყვეს სამშობლოში წიგნი.
ნუთუ ასე მოდის ოდით,
მოსისხლეთ სწყურიათ სისხლი,
ღმერთი მიუტყვევებს ცოდვილთ,
უფლის ხარ, უფალი გიხსნის!..

ზურაბ ჯაფარიძის
ნათლავის იპიტაფია

ვერ გაცეკვეს მეფის კარზე,
ვერ შეგცვალა დრომო,
საქართველოს ბედ-იღბალზე
მოღრიალე ლომო!..

თინათინ ანკვაძე

საქართველოში წმინდანით
იცხოვრე რადგან
შენ თავზე უფლის ნაბოძები
გვირგვინი გადგას,
გვირგვინი ეკლის, ესოდენი
სიმაღლის მჩენი,
გვირგვინი ბედის – დამლუბველი
და გადამრჩენი.
სულს მსახურებდი, გადარდებდა
არც არა ხორცის,
შემორჩი ქალაქ ამაყი და
ბავშვით მორცხვი.
არ დაგკლებია არცა სუსხი
მავანთა ჭორის,
მაგრამ იყავი უჩვეულო
რჩეულთა შორის...
...პირველობისთვის არ გიცდია
ლალატი კაცთა,
უპირველესად ადიდებდი
გულსა და გაცდას.
ხან მკლავი მოგჭრეს,
ზარანდიაც იყავი, ურჩი,
და ამიტომაც მოშურნეებს
ვერ გადაურჩი.
ხან ჯამი გედგა ღვინით სავსე
თუ უფლის სისხლით,
ლოცავდი მამულს დღე ცისმარე
შენ მისხალ-მისხლით.
იყავი მეფეც, სამშობლოს
გტანჯავდა ბედი,
არ გაგიღუნავს არცა მკლავი
და არცა ქედი.
საქართველოში წმინდანით
იცხოვრე რადგან,
უზენაესის ნაბოძები
გვირგვინი გადგას.



„მკვდარი იმედი მე არ მაკუთვნის“!

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა თსუ კურსდამთავრებულის, პირველსიხველის, 93-ე აუდიტორიის წევრის, პოეტ თემურ ჩალაბაშვილის საიუბილეო შემოქმედებით საღამოს უმასპინძლა. თემურ ჩალაბაშვილი 70 წლის საიუბილეოდ უნივერსიტეტის ოქროს მედლით დაჯილდოვდა. არ დამავინყდება ჯილდოს გადაცემის დროს მისი სახე – სხვანაირი სხივამდგარი თვალებით! ივანე ჯავახიშვილის მადლობილი ოქროს მედალი – ქართველი პოეტისთვის დამამშვენებელი და ახალი მუზეუმის ასაფრენი.

იმ დღეს წლების მონაგარ დაფასებას იძიდა გალაკტიონ ტაბიძის პრემიის ლაურეატი, თბილისის საპატიო მოქალაქე, ვისაც მუდამ თან სდევს ხალხის სიყვარული და აღიარება... იუბილე ბატონ თემურს ლიტერატურულ ჟურნალ „ანულის“ რედაქციის სახელით მეც მივულოცე – ჟურნალის შემოქმედებითი გაერთიანების წევრს უსუსურვე, საოცარი გულის პატრონს დიდხანს ელვანოს საყვარელი ქვეყნის სამსახურში, მუზის მოფრენა უმრავლეს უფალმა და ჩვენც იმედი აგვისვეტის ილიას სტრიქონებით: „ანმყო თუ არა გვწმინდობს, მომავალი ჩვენია“!

„მკვდარი იმედი მე არ მაკუთვნის“, – ეს ხმა წინა საუკუნიდან მოარღვევს სივრცეს... ეს ხმა პოეტის ალამია! თემურ ჩალაბაშვილის დიდი რწმენაა, შორეული ათასწლებიდან ტალღად მომსკდარი და ცრემლად გარდასახული.

ეს ხმა „დაცოტავებულ სამშობლოში“ წრიალებს, ილენება „ცალუღელა სევდის კალოები“... ვინ ვართ და რანი ვართო? – პოეტის გულის ხმაური იზრდება და იზრდება, რეკვიემს ემსგავსება.

დაცოტავებული სამშობლოს რეკვიემია პოეტი... დიდგზამოვლილი, უსოვარ სივრცეებად ქცეული და ჩაკარგული, ჩამღერებული ამ სივრცეებში...

დაცოტავებული სამშობლოს სევდაა პოეტი! და ცრემლი მისი სავიზიტო ბარათია... სინანულია ჩვენს სულში ცრემლად მომწყვდეული ქართველობის, სარწმუნოებისა და დიდი ისტორიის გამო. ცრემლით ნაფერება ოშკი და ხახული, „სინანულის ცრემლში დგანან ისევ ქართლის მთები“ და განწირული და მღუმარია მინა... ამ დროს იწყება საუბარი გულთან...

„რანი ვიყავით და რანი ვართო“... – თემურ ჩალაბაშვილი ცრემლში საკუთარ ბედისწერას ძერწავს და ამ ბედისწერით სამშობლოს ბედისწერას აცნაურებს.

პოეტი, რომელიც სამშობლოზე მდიდარი არასოდეს ყოფილა და რომელიც სამშობლოს სამ დროში დაატარებს, სამ დროში აერთიანებს – ნარსულში, ანმყოსა და მომავალში...

სამშობლოს ბედისწერასთან გადაჯაჭვა შემთხვევითი არ არის... როცა უგულებელყ-

ვოფილია ქართული მწერლობის ტრადიციები, როცა ილიას გზა გამარუდებულია... მწერლობას ავტორიტეტი დააკარგვინეს, ზნეობრივი იდეალი მოუსპეს... ამ დროს ყველაზე მწარედ პოეტმა უწყის, თუ „რა სცოდნია დაკარგული სამშობლოს განცდას“... როგორი ტკივილია, როცა „სულ სხვა ხალხი მომრაველდა, სხვა ყაიდის, სხვა რჯულის“... სხვაგნებურებით, ჯერ კიდევ რევოზ ინანიშვილმა გვითხრა სინანულით...

იქნებ, სიმღერაც ლალი და სევდიანი იმიტომ დაგვყვა?

გრიგოლ რობაქიძემ, ჭეშმარიტად, აკაკის ღმირი ქართველთა სულის სუნთქვას აცნაურებდაო... ეს სულის სუნთქვა სევდის ღმირი იყო პოეტისა... როგორც „მრავალყამიერი“, ძალზე მხიარული და თან ნაღვლით შეფერილი სიმღერა...

ეს ნაღველი დაკარგული სამშობლოს განცდაა ჭეშმარიტი პოეტისა საქართველოში...

„ხელთ გეცლება სამშობლო, მახლას შენი ნანერი“... – ამბობს თემურ ჩალაბაშვილი და „სულთან ჭიქის ჭახუნით“ მარტოობას უნაპირდება...

პოეტობა მხოლოდ ტექსტების წერა არ არის... პოეტობა სულში სანთელია, რომელიც ყველას ხვედრი არ არის, რომელიც ჩუმად იწყობს და უხილავ ნათელს ტოვებს... ხილულად!

შემთხვევით მოგვარი ყური, ამას წინათ თემურ ჩალაბაშვილისთვის „სახალხო სიყვარულის“ საპატიო სიგელი მიუციათ... განა ხელოვნური ნოდებაა საზოგადოების სიყვარულისა? სახალხო სიყვარული ხალხის გულისწინადადების მცნობს თავისთავად ეძლევა...

...თემურ ჩალაბაშვილი თაობებს შორის დარღვეული კავშირის სამაჩია... ყველგანაა, სადაც ახალგაზრდობაა და სადაც ახალგაზრდული სიტყვა უდერს... სადაც „ილიაა – შუბლი საქართველოსი“ და ეროვნული იდეალები.

მახსენდება სიმონ ჩიქოვანის სიტყვები გალაკტიონზე: „საქართველო იყო მისი ოჯახი, მისი მშობოთვარე სულის სამყოფელი და მისი სიმღერის საგანი. ის მუდამ ატარებდა გულის სიღრმეში დაბინდულ ქლიავისფერ მამულის ხატებას“...

მე თემურ ჩალაბაშვილზე ასე ვიტყვოდი: ის მუდამ ატარებს გულის სიღრმეში დაბინდულ იისფერ კავკასიონს, კავკასიონის ხატებას, რომელიც მშობლიურ ძველანაგამი ბავშვობიდან მამის ბეჭებით გადაზომა...

და, თუ პოეზიამ უნდა გადაარჩინოს სიტყვა ქართული და „ხანდახან ლექსითაც მარცხდება ურჩხული“... მაშინ სწორედ ამიტომაც, მკვდარი იმედი არ ეკუთვნის პოეტს...

თამარ შაიშაძე

ჩემი ახლანდობა

მეგობარმა დამირეკა, არიქა, გა- ვარდი, ლანა ლოლობერიძის ახალი წიგნი იყიდე, მთელი თავი გეძღვ- ნებაო.

გავვარდი და ვიყიდე. სულაკაურის გამომცემლობას გამოუცია ლანა ლოლობერიძის „პანდემიით მოგვრილი და პოეზიით შეფერილი უთავბოლო ფიქრები“. ეს ქვესათაურია. სათაურად კი წიგნს „ვისთვის გალობს შაში“ ჰქვია.

ყველა წიგნიერი ქართველის- თვის უფველად წასაკითხი წიგნია – სევდიანი, მაგრამ ოპტიმიზმით სავსე, პოეზიით გაჯერებული. წა- იკითხავ და, დარწმუნდები, რომ შაში თურმე შენთვისაც გალობს.

და ამ მშვენიერი წიგნის ერთი თავი მართლა მე მძღვნება, უფ- რო სწორად, ჩემს ლექსს, „ძველი სიმღერა“, რომელიც ხუთშაბათის მე-60 ლექსად დავდე ფისბუქზე წლევანდელ 11 მარტს.

ისე გამოვიდა, რომ თუმცა ფრაგმენტულად, მაგრამ პირველად ეს ლექსი ლანა ლოლობერიძის წიგ- ნში დაიბეჭდა.

„პოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ!“ – ასე ჰქვია ამ თავს, რომელშიც ავ- ტორი წერს:

„დღეს კიდევ ერთხელ ვიგრ- ძენი ახალი ლექსით მოგვრალი სიხარული, რომელიც ყოველთვის მოულოდნელია. წაეკითხე პაატა ნაცვლიშვილის ერთ-ერთი ხუთ- შაბათის „ძველი სიმღერა“:

„პოპლა! ჩვენ ვკვდებით! ჩვენ ვკვდებით! პოპლა! აგონიაში ვიღვრები ოფლად! საათი იქნევს ცელს დაუნდობლად! სიმღერა წყდება ობლადი, ობლად...“

„პოპლა! თქვენ მოკვდით! ჩვენ მოკვდით! პოპლა!“

რა მიმზიდველია ყველა ქარ- თველისთვის ცნობილი „პოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ“ ასე მძაფრად და ირონიულად გარდაქმნილი „პოპლა, ჩვენ ვკვდებითში“!

ან სიტყვით ეს ვირტუოზული უონგლიორობა, დრამა შინაარსთან შეზავებული:

„ობლადი! ობლად!.. ობლადი! ობლად! და როცა მოვალ მეორედ სოფლად, კოპლებიანი მაგ შენი კაბის ნეტავი მეც ერთ მაქცია კოპლად!“

„პოპლა! ჩვენ ვცოცხლობთ! ჩვენ ვცოცხლობთ! პოპლა!“

რა კარგი მიგნებაა ეს „ობლადი ობლად“, შემდეგში ხულიგნურად „ობლიაძისთან“ და o blood-თან გა- რითმული!

და სათქმელს რომ გავყვით? თქ- ვენ, ჩვენ ვერ ობლად ვგრძნობდით თავს, აგონიაში ოფლად ვიღვრებო- დით, ვკვდებოდით, მერე მეორედ მოვედით სოფლად... და ავტორს უჩნდება ეს ირონიით შეფერილი ნატურა: ნეტავი შენი კოპლები- ანი კაბის ერთ კოპლად მაქციაო! რადგანაც საბოლოოდ ჩვენ მაინც ვცოცხლობთ, თანაც ძალიან!

„ძალიან ვცოცხლობთ, ობლადი, o blood... ობლადი, ო ბლიაძ! ო ბლიაძი! ობლად!“

„პოპლა! ობლადი! პოპლადი! პოპლა! პოპლააა!“ თვითირონია, რომელიც ამარ-

ცხებს ობლობას, მიუსაფრობას... და შენ, მკითხველს, ბუნებრივად გელიძება და გულში სიამოვნებით იმეორებ: ძალიან ვცოცხლობთ, ობ- ლადი, o blood!“

ძალიან ზუსტად აქვს ყველა- ფერი დაჭერილი ქალბატონ ლანას. მე რომ დამენერა ჩემსავე ლექსზე ასეთი ესე-რეცენზია, უკეთესად ვერ დავწერდი. უბრალოდ, ხაზს გაუუსვამდი იმასაც, რომ „ობლადი ობლად“ ჩემი მიგნება კი არა, ბით- ლზის ერთი ძველისძველი სიმღერის სიტყვებია და კიდევ იმას მივაქ- ცევდი ყურადღებას, რომ მეორედ მოსვლაზე „თუ“ კი არა, „როცა“ მინერია, – თითქოს მეორედ რომ მოვალ ამ სოფლად, ეს ეჭვგარეშეა და ამბავი მხოლოდ იმასლა შეეხება, რას ვინატრებ, მეორე მოსვლისას!

დროსთან, რომელიც მოხუც მეთევ ზესავით წამომჯდარა შენს მდინარესთან, როგორც ამბობს პა- ატა ნაცვლიშვილი“ (გვ. 42).

აქაც კარგ საზოგადოებაში ვარ: ვიქტორ ჰოუგო, რეზო თაბუკაშვი- ლი, ჰეგელი, ომარ ხაიამი, არტურ შოპენჰაუერი...

დაბოლოს, კიდევ ერთი ფრაგ- მენტი. როგორც ჩანს, ქალბატონ ლანა ლოლობერიძეს უნახავს ჩემი გაკეთებული ლოგო და წაუკითხავს ჩემი ფბ-პოსტი იმის შესახებ, რომ საქართველომ უფლება მოიპოვა, 2025 წელს ზამთრის ახალგაზრდუ- ლი ოლიმპიური თამაშები ჩაატაროს ბაკურიანში, და თავში „ბავშვის თვალები“ წერს:

„ამ უმძიმეს ფონზე – ერთი კარ- გი ამბავი: 2025 წელს საქართველო

რაკი ასაკზე ჩამოვარდა სიტყვა, ერთიც უნდა დავძინო: ლანა ლოლო- ბერიძე რეკორდსმენია ჩემს მკითხ- ველებს შორის. არა მგონია, 90-ს გადაცილებულ ადამიანს ოდესმე ჩემი ლექსი წაეკითხოს, არათუ თავის წიგნში ეხსენებინოს!

ამ ყველაფრის თქმას ვეპი- რებოდი 16 ნოემბერს, ამ წიგნის პრეზენტაციაზე კინოს სახლში, მაგრამ წამყვანმა სიტყვა არ მომ- ცა. და როცა ვუსაყვედურე, რაკი წინასწარ ვერ შეგითანხმდი, აღარ შეგანუხეო, – მითხრა.

პრეზენტაცია რომ დამთავრდა, ლანა ლოლობერიძეს მივავახლე და, „ძველ სიმღერას“ როგორ ვაკად- რებდი, აკი თავადვე ხულიგნური უწოდა, მისგან სტრიქონმოწონე- ბული ჩემი მეორე ლექსი მივართვი

ზიკურად ვიგრძენი, როგორ მომე- მატა ახოვანება:

„პაატას – სიყვარულით და აღ- ფრთოვანებით – ლანა ლოლობე- რიძე“.

ღმერთმა ყველა კალმისკაცს ასეთი მკითხველი და დამფასებე- ლი მისცეს!

არცთუ ისე ცუდი ტრადიციისა

ამას წინათ ჩემს ბიბლიოზეუმში საგაზეთო ამონაჭრებით გაძეგილ რამდენიმე საქალაქდეს გადავან- დი. ძირითადად მოსწავლეობისა და სტუდენტობის დროინდელი ამო- ნაჭრები იყო.

თუმცა უთარილო, მაგრამ აშკა- რად ძველი ერთი პანანა ამონაჭე- რი დღესაც ძალიან აქტუალურად მეჩვენა.

„არცთუ ისე ცუდი ტრადიცია“ – ასეთი სათაური აქვს რამდენიმე- ტრიქონიან ტექსტს, როგორებიც ძველად ხშირად იბეჭდებოდა ხოლ- მე პრესაში რუბრიკით „ეს საინტე- რესოა“ ან „იცით თუ არა, რომ“...

აი, ეს ამონაჭერი:

„ერთ-ერთ ძველ ინგლისურ ტრადიციას დღემდე არ დაუკარ- გაეს პრაქტიკული მნიშვნელობა. თავად განსაჯეთ, თვეში ერთ-ორ- ჯერ ინგლისელები ყურადღებით ათვალთვლებენ საკუთარ ბიბლიო- თეკას და არჩევენ წიგნებს, რომლე- ბიც უნდა დაუბრუნონ მეგობრებს და ნაცნობებს“.

ჰეი, თქვენ, ჩემო მეგობრებო და ნაცნობებო! არ გინდათ, რომ თვეში ერთ-ორჯერ ვინ გთხოვთ, ათ წელიწადში ერთხელ მაინც ყუ- რადღებით დაათვალიეროთ თქვენ- თქვენი ბიბლიოთეკები და ვინ იცის, როდის „რამდენიმე დღით“ წაღებუ- ლი ჩემი წიგნები ცოტა ხნით მაინც მათხოვოთ? გადავხედავ, გავიხსე- ნებ, შეიძლება საჭირო თუ მონატ- რებული ადგილები დაგაქსეროქსო კიდევ და ისევ უკან დავიბრუნებთ. ერთ-ორ წიგნსაც ზემოდან დავა- მატებ, როგორც ჯილდოს თქვენ მიერ გამოჩენილი ყურადღებისა და გულსხმიერებისათვის.

მანამდე კი ყველას, ვინც ასე მოიქცევით, წინასწარ გიხდით მად- ლობას.

გახტომა- გამოხტომისა

უადგილო და უმიზნო გამოხ- დომების მეტი რა არის დღევან- დელ საქართველოში! და მაინც, ხანდახან იმისთანა მოულოდნელ გამოსდომას გადაყვრები კაცი, გა- მოხტომა გეგონება! ალბათ ამი- ტომაც არის, რომ ძალზე ხშირად ეშლებათ და გამოსდომის ნაცვლად გამოსტომაო, წერენ. თან ფეის- ბუქის წერა-კითხვის უცოდინარი მომხმარებლები კი არა, პირდა- პირ გამოცდილი უურნალობები და ცნობილი მწერლები, სახელოვანი რედაქტორები და პატივცემული მასწავლებლები!

არადა, გამოსდომა სხვაა, გა- მოხტომა – სხვა. პირველი სოცია- ლური საქციელია, მეორე – ფიზი- კური მოქმედება.

ეს დაახლოებით იგივეა, რომ გახტომის ნაცვლად გახტომა და- წეროს ადამიანმა.

ასე მაგალითად, ლუარსაბ თათ- ქარიძემ იმიშვილა და გახტა! იმიშვილა და გახტა – არაა სწორი. იმიშვილა და გახტა – სწორია.

თუმცა გამოსდომა-გამოხტო- მისგან განსხვავებით, აქ ორივე ფიზიკური მოქმედებაა, ერთიერ- თმანეთზე მიზეზ-შედეგობრივად დამოკიდებული.

►► გაზარძილია იქნება



ლიბროკუბიკულარისტის შთანაწერები

პაატა ნაცვლიშვილი

„პოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ!“ – ასე ჰქვია ჩემი ლექსისადმი მიძღ- ვნილ ამ თავს ლანა ლოლობერიძის ახალ წიგნში.

იგი მოქცეულია იმ თავებს შო- რის, რომელთა სათაურებია: „და- ბერდი ახალგაზრდა“ და „ნახეს უცხო მოყმე ვინმე“.

პირველში ლანა ლოლობერიძეს მოჰყავს ციტატები უოლტ უიტმენ- ის, რაბინდრანათ თაგორის და ტონინო გუერას ლექსებიდან. მე- ორე თავში კი ავტორი იმონებებს ანტუან დე სენტ-ეკვიპურის, ვა- ჟა-ფშაველას, შოთა რუსთაველს და პოლ ელუარს. კარგ გარემოც- ვაში ვარ მოქცეული, ღმერთმანი! ამ სახელებთან დიდი ბოდიში მათ კომპანიაში მოხვედრისათვის, ლანა ლოლობერიძეს კი დიდი მადლობა ამისთვისვე.

„ვისთვის გალობს შაში“ იმავე ღამეს ჩავაბუღებულე. რატომ არ შეიძლება აქ ვთქვა, ჩავაშაშვე? რა, განა შაშის გალობა გალობა არ არის?! ან განა დიდად ჩამოუფარდებ- ბა ბულბულისას?! ერთი სიტყვით, ჩავაშაშვე ეს მშვენიერი წიგნი და აღმოჩნდა, რომ კიდევ ორ ადგილას ვყავარ ნახსენები ავტორს. ერთგან ჩემი ლექსის ერთი სახე აქვს და- მონიშნული, მეორეგან კი ზამთრის ოლიმპიადის ლოგოს მინონებს.

თავში, რომელსაც „ნაღვლისფე- რი სიხარული“ ჰქვია, ლანა ლოლო- ბერიძე წერს:

„დაბოლოს – განცდა ყველაფ- რის წარმავლობისა და ერთდროუ- ლად – მარადიულობისა. და სულ მუდმივად ჭიდილი დროსთან.“

ზამთრის ახალგაზრდულ ოლიმპი- ურ თამაშებს უმასპინძლებს. ამის გაგება ყოველთვის გასახარელი იქნებოდა, მაგრამ განსაკუთრე- ბით ახლა, ამ ჩაკეტილობის და, მე ვიტყვოდი, უსასობის ხანაში, ისეთი იმედის მომცემია ფიქრი, რომ გვა- ქვს პერსპექტივა, რომ რამდენიმე წლის მერე ბაკურიანში, სადაც მე პირადად ამდენი სიხარული მაქვს განცდილი, გულაურში, სვანეთში შეიკრიბებიან მთელი მსოფლიოს ახალგაზრდები და ულამაზეს თოვ- ლიან ფერდობებზე ისრიალებენ სწრაფდაშვებით თუ სლალომით!

და რა მნიშვნელობა აქვს, რომე- ლი ჩვენგანი დაესწრება (ან სულაც – მოესწრება) ამ ამბავს, ის ხომ მა- ინც შედგება, როგორც მოვლენა! პაატა ნაცვლიშვილის ლოგოც ძა- ლიან მომწონს, მისი ეს უჩვეულო დიაპაზონიც – პაატაურებიდან ლოგოდამდე!“

პაატაურებიც სცოდნია! წარმოუდგენელია, ასე ყვე- ლაფრის საქმის კურსში იყოს 93 წლის ადამიანი, ასე ადევნებდეს თვალს ლიტერატურულ თუ კულ- ტურულ პროცესებს, ასე ყურადღე- ბით კითხულობდეს მასზე 20, 30, 50 წლით უმცროსი ავტორების ტექსტებს! კითხულობდეს კი არა, არჩევდეს და აფასებდეს კიდევ ამ სიტყვის ორივე – შეფასების და და- ფასების – მნიშვნელობით!

აქვე და ამასთან დაკავშირებით, არ შეიძლება არ გავიხსენო ლანა ლოლობერიძის ჩემთვისაც დასტურ სანუგეშო სიტყვები მისი ამავე წიგ- ნიდან: „სიბერის საზღვრები სულ უფრო და უფრო უკან იხევს“ (გვ. 71).

საგანგებოდ ამ დღისთვის ამობეჭ- დილი და საგანგებოდ გაკეთებული მიძღვნით: „მოხუცი მეთევზე (ლანა ლოლობერიძეს)“.

ამ მცირედით გამოვხატე ის სი- ხარული, რომელიც მან თავის წიგნ- ში ჩემი სტრიქონების მოხსენიებით მომანიჭა.

შემხედა და, მე უფრო დიდი წარმომედგინეო, – მეუბნება. არ ვიცი, ასაკს გულსხმიობდა თუ ახო- ვანებას. პოეტურ სიდიდეს რომ არ იგულისხმებდა, თავისთავად ცხადია, თუმცა მადლობის მეტი რა მეთქმის, რაკი ჩემი პოეტური ახოვანება თავის წიგნში მოხსენიე- ბის ღირსად ცნო ისეთი სახელების გვერდით, როგორებიც არიან... იხ. ზემოთ.

რა თქმა უნდა, არ ახსოვდა, თორემ ოდესლაც, წინა ცხოვრე- ბაში, ჩვენ უკვე ვიცნობდით ერთ- მანეთს მისი მონაფის – გოდერძი ჩოხელის სადებიუტო ფილმის ნია- დაგზე მრავალი წლის წინათ. პირ- ველად, მგონი, სულაც ბაკურიანში გავცვალეთ სიტყვები მაშინ უკვე ძალიან სახელოვანმა რეჟისორმა და წინა წელს უნივერსიტეტდამ- თავრებულმა ძალიან უსახელო ყურნალისტმა...

კიდევ კარგი, რომ წამყვანმა იმ პრეზენტაციაზე სიტყვა არ მომცა, თორემ სათქმელს რომ ამოვთქვამ- დი, ემოციას რომ გამოვხატავდი, ეს შთანაწერი იქნებ არც გამეკეთებო- ნა. არადა, არ არის დასაკარგავი.

და მთავარი: წიგნზე ავტოგრაფი რომ ვთხოვე, იქვე, სცენაზე სრუ- ლიად ახალგაზრდულად ჩამოვდა და ორი ისეთი სიტყვა წაანერა, ფი-



ლაილა მესხი

უსასრულოდ ოთხი ღამე

პირველი

ამ ჩანაწერს თავდაპირველად „ღამეული ფიქრები“ ერქვა... რაც მანუხებს და არ მაძინებს... მაშფოთებს და მაფორიაქებს, მათზე მინდობდა მეამბნა... უპირველესად, დაცარიელებული, მიტოვებული, გაპარტახებული მშობლიური კუთხეები მასხენდება, სულს მიწნავს, მალეღვებს... უკვე დროა! სადაც უნდა იყოთ, ქართველებო! რასაც უნდა აკეთებდეთ: მდიდრდებოდეთ თუ ღარიბდებოდეთ... მნიშვნელობა არა აქვს, დროულად დაბრუნდით, ჩარაზულ ჭიქკარს ბოქლომი შესხენით, თორემ მერე გვიან იქნება... რადგან ძნელად შესამჩნევია, მალული მტერი მოგვაპარვია და ვერ განვიგია. ფარისევლური ღიმილით გვწვავს თავისკენ... გვეპატივება, ყველაფერს გვირდება, უპირველესად, მდიდარ, იოლ, მხიარულ და (რაც მთავარი ჰგონიათ!) მაძლარ ცხოვრებას... არ აპყვით, არ აცუნდრუკდეთ! შორეულ გაფრენებს შეეშვით... სამარადისოდ დასაკარგავად გიტყუებენ ისინი... დამიჯერეთ! ეს ღამეული ფიქრები შემთხვევით არ მწვევია... შემთხვევით არაფერი ხდება ამქვეყნაზე!

წერას განვაგრძობ... უპირველესად გიორგი ახვლედიანს (აკა მორჩილაძეს) მიზნად მივმართო (თანამედროვე ახალგაზრდა მწერლებს შორის ყველაზე გამორჩეულს!). როცა იგი მსჯელობდა – „დედვანდელ საქართველოს, ამ მოგონილ ქვეყანას, რომელსაც არაფერი სცხია „ვეფხისტყაოსნის“... არც იმ საბრალო ილია ჭავჭავაძის, რომელსაც, როცა არ დაეზარებათ, მაშინ შეანჯღრევინ-ხოლ-მე...“ გავეპასუხე: როგორ გინდა, შენსავით, ყველაზე ინგლისსა და ამერიკას შევაფაროთ თავი?! ვერ გინონებ საქციელს! აქ, ჩვენთან რომ იცხოვრებ და იჯახირებ, მაშინ ხარ ნამდვილი მწერალი... კაცი და მამულიშვილი! თუ მართალი ხარ, აქ მოდი, ხელს ნუ მომიკიდებ და ფრთხილად ნუ ამომიყვან (რომ არ დაისვარი!), ჩვენთან ერთად ჩაეფალი ლაფში და ყველანი ერთად ამოვიდეთ! ამ სიბრძნეს ებრაელები გვასწავლიან, ბრძენი ხალხი... ისიც იცოდეთ, ყოველივე ამას მე, სასკოვან მწერალს, შენი ყოველფერე მალაპარაკებს... ეს იყო წინათ, კარგა ხნის წინათ. ხოლო ახლა, როცა გავიგე, მწერალი შინ დაბრუნებას აპირებს და ლეჩხუმში, მშობლიურ ადგილ-სამყოფელში სახლის ამენებას იწყებს. აღფრთოვანდი... ნაბიჯი მოუწონე, დავლოცე კიდევ, თუმცა პასუხი არ მიმიღია! არა უშავს. მართალია, მას ლეჩხუმის ნალკოტსკენ, წინაპრების ფესვებისკენ მოუწონდა...

თავად მე ჩემი მშობლიური სამყოფელისკენ გამეცა მზერა, ნახევრად დაცარიელებული სოფლისკენ... (ხონის რაიონი, სოფელი ახალბედისეული.) მათხოჯსა და უზლოურს შორის არსებულ მცირე ნალკოტზე. სიმწვანე, კამკამა წყაროები და ჩხრიალა დღეები რომ აღაძაზებს იქაურობას. მთები და ბორცვები. გამოლილი ჭალები... ეს ადგილები სოლომონ მეფემ ლორთქიფანიძეებს უბოძა, მის ერთგულ თავადებს, „ფიცის კაცებს“. მათი შთამომავალი იყო ჩემი პაპა, ენუქ ლორთქიფანიძე, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი... ახალბედისეულის სკოლა მისი უშუალო ჩარევით და ხელშეწყობით დაარსდა. სავალალოდ, მისმა მემკვიდრეებმა იქაურობა მივატოვეთ და დიდ ქალაქს შევეხიზნეთ... მონატრება კი დარჩა, რაც აგრერივად მანვალებს, განსაკუთრებით ბოლო წლებში. განუწყვეტლივ ვხედავ იქაურობას – დაცარიელებულს, გაპარტახებულს და რაც მთავარია... მიტოვებულს. არადა, ვგრძნობ,

როგორ მეძახის იგი, თავისკენ მიხმობს დედის საფლავი თუ პაპის სული.

ერთი ოცნება ჰქონდა დედას, უფრო ხილვა (ახლაც გაცივებით ვიგონებ): სოფელში უცხო ქვეყნიდან ჩამოსული გეოლოგები გვეწვევიან, ჩვენს კუთვნილ ადგილს დაათვალიერებენ, ლექვებით შემოსაზღვრულ ენუქ ლორთქიფანიძის სამყოფელს მოჩხრეკენ და ძვირფას სიმდიდრეს იპოვიან. ეს იყო ლელის პირას, ბუჩქნარში მიმალული კლდის თალი თუ მცირე ნაპრალი, საიდანაც მწიფე შინდისფერი საუცხოო თიხა მოჩანდა. მისი არსებობა ჩვენს მეტმა არავინ იცოდა. თუმცა არ ჩამოსულან გეოლოგები. დარჩა თიხა გამოუყენებელი. დედა გარდაიცვალა, ჩვენ იქაურობა მივატოვეთ... არადა, გუშინ ვილაც ცნობილი კერამიკოსი რადიოგადამცემ-მაში წუნუნებდა, წითელი თიხა სტამბოლიდან ჩამოვიტანე, ძვირი ჯდება, გაიყიდე კაციო... ჩვენი წითელი თიხა კი იქ, ბუჩქებში დარჩა, მისი არსებობა არავინ იცის... აი, ესეც მადარდებს...

მეორე ღამე

ჩემს ფიქრებს დარდი ახლავს, წარსულის შესხენების ფარული დარდი. ამიტომაც, ჩავლილ წუთებს რომ გავდევნივარ. თუმცა წარსულზე მეტად დღევანდლობა მაშფოთებს. სულ ახლან, სრულიად შემთხვევით, ჩემმა ძმამ, ირაკლი მესხმა (დედალევითასიმი ცხოვრობს. წყალტუბოს რაიონი.) მთებს შეხიზნა, მამისეულ ეზო-კარს უვლის, მონადირედ და მეგზურად მოგვლინება. „ირემო მთასა მყვირალოს“ – ვეძახი. მგლებს გან თუ მგლისფერსახიანი ადამიანებისაგან იცავს სოფელს). ერთ-ერთ შესხიანებისას, ისე სხვათა შორის მამცნო: „რომ მიატოვეთ იქაურობა (ახალბედისეულს გულისხმობს, ჩემს დედულეთს), მგონი, ვილაც დაპატრონებია, გაუყიდათ!.. ვინ არ იყიდდა, სამოთხე ადგილია, დღეს მინას ცეცხლის ფასი აქვს. ძვირი საიმეოვნებაა! ვინ კარგავს მშობლიურ ადგილს?! თქვენ კი მიატოვეთ!“ თავზარი დამეცა, ლამის დავმუნჯდი, რა ხანია იქაურობას არ მივკარებოვარ. დედის გარდაცვალების შემდეგ, ჩვენ არ გვეკუთვნის, კომლიდან ამოგვწერეს. თუმცა მაინც ჩვენი! პაპის კუთვნილია, ღვთის თუ მეფის ბოძებულია. იქ დავიბადეთ, გავიზარდეთ. ეს ცოტას ნიშნავს? ამიტომაც, განუწყვეტლივ რომ ვხედავ, მელანდება იქაურობა...

ახლა კიდევ მღელვარების ბურთი გამჩრია ყელში. – ვინ იყიდა?! – ძლივს ამოვთქვი, ამოვიღულე. – რა ვიცი, გამოჩნდებოდა მყიდველი. ვინმე ლტოლვილი ან თავსაფრიანი არაბი. რატომ იტყვიან უარს, სამოთხე ადგილია.

– კი. ყოფილა მყიდველი, დაუნუნებია. გზა არ არისო, ელექტროშუქი იქამდე არ მიდისო. მანქანა ვერ აღწევსო, უდაბური, მიუსვლელო ადგილიაო. მოკლედ, უარი თქვა. „ძალიანაც კარგი!“ საოცრად მეამა, ვაგზალისდი... ოღონდ! სხვისთვის ვერ ვიმეტებ, მაგრამ თავად ვარგოვარ მომვლელად? (მუხლის ტკივილი მაღიბდა მასხენებს თავს!). შვილებს იქით გასახედად არ სცალიათ, ცხოვრების ორომტრიალში არიან ჩართულნი. „მილიონერი უნდა იყო, იქაურობა რომ ფეხზე დააყენო“, – ამბობს ვაჟი. – განა არ მინდა, გული მწყდება, იქ ავიდგი ფეხი... მაგრამ... შვილიშვილი ილიმის, ირაკლი: – შემდგომ ვნახოთ, ბები! არ იდარდო!

„თუ ღმერთი არ ამეწეოს სახლს, ტყუილად ირჯებიან მუშაკნი... თუ ღმერთი არ იცავს ქალაქს, ამოდ ფხიზლობენ გუშაგნი...“ უფლის წყალობის იმედი მაქვს!

მესამე ღამე

გუშინ ვილაც მადლიანმა, „ფეხისუქის“ კედელზე, საოცარი სურათი განათავსა. ფერდენი ქართველების საფლავის ქვები მოჩანს. ქვაზე ამოტვიფრული ქართულ-სპარსული წარწერები გარკვევით იკითხება. ყველაზე თვალსაჩინოდ ქართული წარწერა მოჩანს, მსხვილი ასოებით აწერია „დედა“, მორეს – „მამა“, ხოლო ქვემოთ, ასევე ქართულად – „უფალო, შენი ვარ მაცხოვრე მე!“ ეს მამის საფლავის ქვას აწერია, ხოლო დედისას – „აქ შეიძლება იცოცხლო და მოკვდე ქართველად. მაინც ვერ გაძღე სიყვარულით ქართველისი“. დანარჩენი სპარსულია... ამაფორიაქა (მიხილ გაბაიძის გვერდზე გამოქვეყნდა. დეკანოზმა ანდრია თურმანიძემ მოგვანოდა!)... გადაკარგულ-გადახვეწილი ქართველები, საუკუნეებით დამორბეულნი, ნანამებნი და... მაინც ამაყნი, შეინარჩუნეს ენა, დაბნელობა, ჯიშნი და გენი! მოდი და, ნუ გაიხარებ, ნუ იამაყები! ფიქრებს წარსულში გადაყავარ... კვლავ წინაპრებთან ვბრუნდე-

ბი... ისეთ რაღაცებს ვიგონებ, რაც არავისთვის გამიხვლია...

შინ დაბრუნებული მამა ვერ ვიციანი, ისედაც არ მახსოვდა, სამი წლისა ვიყავი, როცა ომში წავიდა... ვერ მივეკარე, შიში ვიგრძენი (ახლაც ვგრძნობ იმ შიშს!), მაგრამ ვაი მის დაბრუნებას! ცეცხლნაკიდებულს ჰგავდა. ვერ ისვენებდა, ბოხოქრობდა, დღედაღამ შრომობდა. დაკარგული ექვსი წლის აღდგენა სურდა. 1947 წელს დაბრუნდა...

ახლაც თვალწინ მიდგას იგი. მაღალი, ხმელ-ხმელი კაცი, აღნაგი. მოქნილი და მოსხლეტილი. ცხენისა და თოფიარაღის მოყვარული... ნისქვილის ბორბალი არ დატრიალებულა მის თავზე, თორემ სხვა არაფერი დაკლებია: ომი, ტყვეობა, პატიმრობა... მუსლჩაუბრულად შრომობდა. მთელი ის არემანე, ნაყანარი თუ ნავენახარი ადგილი, დახნა, დათესა, ვაზი გააშენა. უცნაური ჩვევა: ჰქონდა: მარტის თვეში ახლად გაღვიძებულ ხეხილს კვირტს აცლიდა და სადღაც კლდის ციკაბოზე თუ უსიერ ტყეში, ველური ვაშლის თუ მსხლის ტოტებზე („ჭყუნტას“ რომ ეძახიან) ქარვისფერ გულასს და ლოყანიით, ლეჩხუმურ ვაშლებს ამყნიდა. მოგვიანებით პოულობდნენ მეზობლები, მის „ხელწერას“. ცნობდნენ... მოსავალმაც არ დაახანა. სიმინდის გრძელ-გრძელი ტაროებით აიგოს სასიმინდე, რაც არ დაეცა, ოდა სახლის ფართო აივანზე გაშალეს, თავადურ აივანზე, ცხენი რომ გაჭნებდებოდა... თეთრი სიმინდით აავსეს. ყველაზე მეტად სიმინდი სჭირდებოდა სოფელს, ქალაქსაც... პირუტყვიც მოაშენა, ნიშა ხარეში და კუნტრუშა უშობობდა... თხები-ბეჰეკეკობი. ცხენიც ჰყავდა. – „ლურჯა“.

ნასაქცევად გამზადებული ოჯახი თანდათან მომარდა, წელში გაიმართა. დიდ ოჯახს დიდი სულის ბერვაც სჭირდებოდა. ჩვენ, სათნო ქალბატონი (ჩემი დედა) და მცირეწლოვანი გოგონები, ძნელად გამოვადგებოდით მამას ხელისნამკერვლად და დამხმარედ. ობოლი ძმისშვილი (გელა მესხი) ჩამოიყვანა დედალვითისადან. შვიდი წლისა. შვილივით ზრდიდა, ღამით დგებოდა და სახანს ახურავდა... დრო გადიოდა, მამის რთული ხასიათი, ნამიერი განაწყენება თუ აფეთქება, ძნელი ასატანი ხდებოდა.

მაშინ იყო, სულ მალე თბილისიდან უფროსი დედა გვესტუმრა ექიმ მეუღლესთან ერთად. ორივენი მედიცინის მუშაკები იყვნენ. დამსახურებულნი, საპატიო... საღამოს, მცირე პურობაზე, ოჯახის წევრებთან საუბრისას მუდამ მშვიდმა და ნაზმა დეიდამ ოდნავ განაწყენებით უთხრა მამას: „ლევან, მისმინე გენაცვალე! ამგვარ ვითარებაში ბავშვების აღზრდა არაფრით არ შეიძლება! მუდმივი მღელვარება, დაძაბულობა უეჭველად იმოქმედებს მათ ფსიქიკაზე, ყოველივე მოგვიანებით იჩენს თავს...“ მამა დაიძაბა, განაწყენება დაეტყო, ვერ ცოლს მოხედა ავად და მრისხანედ, იმან კიდევ უფროსი დის მხარე დაიჭირა. და... ნამოვარდა!. მკაცრი ხმით განაცხადა: „რაკი ასეა, მე ნავალ აქედან, მოგცილდებით. ოღონდ, რაც ჩემი შრომით შევიძინე, ყველაფერს წავიღებ!“ დაიქადა. (იგი ზედსიძედ იყო შემოსული ლორთქიფანიძეების ოჯახში!). სულ მალე მოხუც დედას და დებს დაუბრუნდა, დედალვითისაში გადასახლდა. გელა თან წაიყვანა, „ლურჯაც“... ახლად ამენებული სამზადიცი დაარღვია და ურმით გადაიტანა... წავიდა და წავიდა!.. უკან არ მოუხედავს... ამაყი იყო (დედა სვანის ქალი ჰყავდა, გარდაფხაძე). ჩემს საბრალო დედიკოს გული არ დაწყვეტია-მეთქი, ვერ ვიტყვი... ყველაფერი ეტყობოდა, მაგრამ არ ამხელდა. მალე ცოლი შეირთო მამამ, ვაჟიც გაუჩნდა – ირაკლი მესხი.

გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე ახალბედისეულს ესტუმრა ცხენით, მხარზე თოფით, თითქოს მონადირე იყო, მელას თუ კურდღელს გამოედევნებელი. გაცივებით უმზერდნენ მეზობლები, ახლოს არ მიკარებია. ვერ ლორთქიფანიძეების ნამოსახლს მიაკითხა, ცხენი ეზოში გაუშვა, თვითონ ჭადრის ხის ძირს, ბრტყელ ქვაზე ჩამოჯდა. მისი დარგული ხეხილი გამხმარიყო, ეკალ-ბარდი მოსძალეობდა ეზოს. იქიდან ნამოსული სასაფლაოზე იხილეს. თავნახილი იჯდა, მღუმარე. შებინდებამდე დარჩა. საფლავის ქვიდან, დედის მშვიდი, აღერსიანი მზერა გამოსჭვიოდა. ზედ წარწერა მოჩანდა „შვილებისაგან“, მძიმედ ნამოდგა და თავდაღმართში დაეშვა. ცხენზე არ შემეჯდარა, ფეხით გაჰყვა გზას. სიბნელეში მიიმალა (ყოველივე ეს მოგვიანებით მეზობლებმა გვიამბეს)... სულ მალე მამა გარდაიცვალა. ჩვენ დასაფლავებას დავესწარი... აი, მაშინ

ვიპოვე მის სასთუმალთან ახლად გამოცემული ჩემი კრებულები. ყოველ მათგანში მისი ლანდი კრთოდა, მასზე ვწერდი... თუმცა არასდროს გვისაუბრია, ერთხელაც არ შემხმინებია... ნეტავ, მოსწონდა თუ არა?! მამა 1982 წელს გარდაიცვალა. დედალვითისაში, წინაპრების გვერდით დაკრძალეს... და ახლა, ბნელ ღამით, ფიქრისა და უძილოს ერთი კითხვა მანუხებს: ვიცნობდი კი ჩემს მამას – ნაომარ, ნატანჯკაცს, მშრომელს, პირდაპირს, ცეცხლივით ანთებულს?! რა უხაროდა და რა წაწყინდა?! რისი ჯავრი გაჰყავა?!

მეოთხე ღამე

მგონი, გადავალე მკითხველი. სათქმელი, რომელიც მაღიბდა მასხენებდა თავს, ასე იყო თუ ისე, ამოვთქვი. მცირედად დაემშვიდდი. ახლა განსჯას ვინც, მომხდარის შეფასებას, მათ გადამოწმებას. ამაში თქვენც მესმარებით, საყვარელო მკითხველო! მაგიდაზე ახალბედი-სეულის სურათები მიწყია. ერთგან ჭადარი მოჩანს, ჩვენი ეზო. მეორეზე მე თვითონ ვარ, დანგრეული ეკლესიის ქვაზე ჩამომჯდარი, ფიქრისგან შეძრული... სურათებზე 2018 წლის კადრებია, როცა ახალბედისეულის საჯარო სკოლის პედაგოგებმა და სოფლის ხელმძღვანელობამ, ოუბილესთან დაკავშირებით შეხვედრა მომიწყვეს (ეს სკოლა 1908 წელს პაპაჩემის, ენუქ ლორთქიფანიძის თაოსნობით დაარსდა, შენობა თვითონ შეიძინა!). მოგვიანებით ყველანი ძველ სასაფლაოს ვენვით, ლორთქიფანიძეების ძვალშესალაგს ვესტუმრეთ, ყვავილებით მოვრთეთ იქაურობა. მიმოფანტულ საფლავის ქვებზე მათი გვარ-სახელები ამოვიკითხეთ (დღეს არც ერთი ლორთქიფანიძე აღარ ცხოვრობს ახალბედისეულში!.. სხვა ხმები, სხვა ურიაშული ისმის...).

და კიდევ ერთი უცნაური ფიქრი... საიდან მოვიდა, ვერ მივხვდარვარ! ორი სოფლის შედარებას ვინც. დედულეთი – ახალბედისეული და მამისეული – დედალვითისა. როგორი სახელებია! – მრავლის მიმინშნებელი... მთლად ძველი, ჟამბოროვლილი. ორივე იმერეთის უმშვენიერეს კუთხეს ეკუთვნის. მთებს შეხიზნა. ერთმანეთთან არც ძალიან ახლოს არიან და არც ძალიან შორს... ცხენის ერთი გაჭნება... ამ გზაზე მიმოდინდნენ ჩემი მშობლები: ახალგაზრდები იყვნენ, ნამოჩიჭული გოგონები თან ახლდნენ, ბავშვებს ცხენზე სვამდნენ, თავად ფეხით მიჰყვებოდნენ გზას... ახლა ფიქრებში მარტოდმარტო შევყოლივარ მათ ნაკვალევს... ახალბედისეულს გაცდები და, უზლოურს იწყება, ძქვილითი, ბესილაური და... დედალვითისაც გამოჩნდება. ყველა ერთ ბედქვეშა – ცხოვრება უჭირთ... ცარიელდება სოფლები, სკოლაში ბავშვების რაოდენობა იკლებს, ძველი სახლები ინგრევა.

ერთად იღვნიან, სოფლის მკვიდრნი: მესხები, შალამბერიძეები, ჯიმშელიშვილები, ჩირგაძეები, ჩხეტიანები, სულაბერიძეები, ლიპარტელიანები, უგულავები, იოსელიანები, მიქაბერიძეები, გიორგულიძეები... და სხვები. ხოლო ზურა მესხი, ჩემი სისხლი და ხორცი, ბიძაშვილის შვილი, მთავარ მშენებელ ზაზა დოლონაძესთან ერთად თავიკაცია. ყოველ სი-ახლეს გვატყობინებს. დახმარებები, შენორვები, შენაძენი – სიზუსტით აღწერს. რამდენი გადაიხადეს ჯვრის სანინამძღვრო, საზიარებელი კომპლექტი, ტრაპეზის სანთლები, მოსანათი ყუთი, ზეთისცხების ჭურჭელი, დასადგამი კანდელი... ჩამოთვლის და ჩამოთვლის... „მადლობა ყველა შემომწირველს, გაახაროს დედალვითისა და შენის ორთავ სოფელსა შინა!“ ამინ! მთებში მიკარგული, წინაპრების ხელით, დედალვითისას შობის სამლოცველო ერთად აღადგინეს. მიუვალი, ეკალ-ბარდში ჩამხრჩვალი აღადგინეს და დაამშვენეს. გზაც გაიყვანეს. ამჟამად მლოცველებს თავისუფლად შეუძლიათ მისვლა ფეხით თუ მანქნით... და-მილოცვისხარო, დედალვითისელებო!

რაც შეეხება ახალბედისეულს, ჩემს დედულეთს, ძველისძველ სასაფლაოზე, ცაცხებისა და მუხების ჩრდილში, ეკლესიის თლილი ქვები დღესაც ყრია. ირგვლივა მიმოფანტული. და დარჩა ნახევრად დაცარიელებული სოფელი, დანგრეული ეკლესია და მიმოფანტული ქვები. ამდენი წელი გავიდა და კაცი არ გამოჩნდა, რომ ტაძარი აღადგინოს, ფეხზე ნამოაყენოს, ხატებით მორთოს. ამით სოფელსაც ეშველება და მის მკვიდრსაც. იმედ არ ვკარგავ, უეჭველად გამოჩნდება ვინმე, ფულიან-დოვლათიანი, მორწმუნე კაცი, ღირსეული ქართველი და ეკლესიას აღადგენს. მოლოდინში ვარ!



ნინო ღარბაიშვილი-სტრონი

პოპოკური ოპუსები

ჯაჭვობანა

ეს ფაცია დეიდას აღზრდილებს საყვარელი თავშესაქცევი იყო პიონერთა სასახლეში - თხზვაში სავარჯიშოა მთლად დამწყებთათვის.

ყოველ მომდევნო სიტყვაში უნდა შეცვალო მხოლოდ ერთი ასო ისე, რომ მიიღო ახალი სიტყვა და უმოკლესი გზით მიიღწიო წინასწარგამიზნულ სიტყვამდე. უფრო მოზრდილები ამ სიტყვების რითმებად გამოყენებით ვაგებდით რაიმე ლექსს. შინაარსი მუდამ სახალისო გამოდიოდა.

ვინც ჩემს სავარჯიშოებს მხოლოდ ახლა ეცნობა, მინდა დაბეჯითებით ვუთხრა, რომ ამ გზით იქმნება ლექსი, როგორც სხული, და არა პოეზია, როგორც სული. უბრალოდ, ხელს ინაფავ, რომ პოეზია ადვილად, ოსტატურად მოიხელთო, როცა ბედნიერი გამონათების დრო დაგიდგება.

აი, ორიოდე ნიმუში, დანარჩენი თავადაც შეგიძლიათ მიუმატოთ:

ფეხი - თავი
ფეხი
მეხი
მერი
მარი
თარი
თავი
ახლა ლექსად ავანყობი:
როგორ მივიღოთ თარზე დამკვრელის ფეხიდან თავი
გადამიბრუნდა ფეხი,
თითქოს დამეცა მეხი,
ვერ მაცუნებდა მერი,
ეშველებოდა მარი,
აღარ მანადვლებს თარი,
ძლივს გადავირჩა თავი.
კიდევ ერთი მაგალითი:
ქალი - კაცი
ქალი
ვალი
ვატი
კაცი
ახლა ავანყობი:

ტრავესტი
იყო ერთი ქალი,
ქალს დაედო ვალი,
ვალში მისცა ვაცი,
ვაციას კაცი.
ერთიც და მე - მეყოფა:
ჯიბე - ფული
კიბე
კილე

კალე
მალე
მალი
სალი
სული
ფული
ავანყობი ლექსად:
როგორ ჩავიდოთ ჯიბეში ფული
ცარიელი გაქვს ჯიბე?
ცხოვრება არის კიბე,
თუ საკილავი კილე
და საკალავი კალე,
თუ სამალავიც მალე,
და თანაც თუ ხარ მალი,
გაძლებით - კლდე ხარ სალი
და, თუ არ გაგძვრა სული,
მართლა გექნება ფული.
დანარჩენი მაგალითები თვითონ მოიგონეთ!

რაზრანი

4 დეკემბერი ნიკოლოზ ბართაშვილის დღეობაა. ლიტერატურის მოყვარულებმა კარგად იციან, რომ ტატოს, რომელიც დედის, ეფემია ორბელიანის მხრიდან ერეკლე მეფის შთამომავალი იყო, სამი დედისძმა ჰყავდა: გრიგოლ, ზაქარია და ძმებში უმრწემესი ილია/ილიკო.

1845 წელს, გვიან შემოდგომით, როდესაც თბილისამდე ტატოს გარდაცვალების ამბავმა მოაღწია, გრიგოლ ორბელიანი ძალზე ავად იყო და არავინ უმხელდა. თავად ავადმყოფმა ვის აღარ მისწერა წერილი, გამაგებინეთ, რა ხდებაო.

პირადი მიმონერის თვალყურებისას ილიკო ორბელიანის წერილში ნაწილობრივ ფრაზას...

დიახ, ეს ის ილიკო ორბელიანია, რომლის ნაცვლადაც (!) მეტყველებს „მერანის“ ლირიკული გმირი, როგორც ამას თავად ნიკოლოზ ბართაშვილი აღნიშნავს პირად მიმონერაში. აქვე დავაზუსტოთ, რომ ლექსს „მერანი“ გვიანდელმა გამომცემლებმა შეარქვეს და ხელნაწერში იწოდება, როგორც „მირბის მიმავრენს“.

ილიას მშობლები ადრე გარდაეცვალა და მისი გაზრდა ეფემიამ ითავა. იგი ტატოს კბილა, კლასელი და უახლოესი მეგობარიც იყო, მაგრამ ... ქართული დუელიანა მათ ამბავსაც გვიყვება. პრინციპში, ეს დუელი ტატოს წრეგადასული ხუმრობა გამოდგა და მას შემდეგ მეგობრები ერთმანეთთან, ცხადია, ძველებურად ველარ იქნებოდნენ, მაგრამ ისიც ცხადია, რომ მათი ნათესაური სიყვარული არ განელებულა.

ილიას წერილიდან ამ ფრაზამ პერსევერაცია დამმართა, ანუ მარტივად, ამეკვიპათა:

„ჩვენი სიცოცხლე ტატო გარდაიცვალა განჯას“.

როგორი გალაკტიონისებური, იშვიათი რიტმია, არა? - გამზადებული ფრაზა. არ შეიძლება, არ გაგვახსენდეს

„ათოვდა ზამთრის ბალებს,
მიჰქონდათ შავი კუბო“

პერსევერირება/ პერსევერაცია კრეატიული, ანუ შემოქმედებითი გონების ერთ-ერთი მახასიათებელია. იგი შეიძლება აკუსტიკურიც იყოს და ვიზუალურ- წარმოსახვითიც, შეიძლება ორივე და კიდევ მეტ მხარესაც აერთიანებდეს და ამაზე, იმედია, კიდევ ვისაუბრებთ. ამჯერად პოეტურ ტექსტში მისი გამოყენების ზოგიერთ სპეციფიკას მივაპყროთ ყურადღება.

ვთქვით მარტივად, რომ პოეტურ მეტყველებაში ორზე მეტად გამორეხული რაიმე ერთეული რიტმის წარმოქმნის. რეფრენი არსით გამოირეხება და, შესაბამისად, ლექსის რიტმული ორგანიზების საშუალებაც, მაგრამ მისი ფუნქცია ამით არ ამოიწურება.

სხვათა შორის, რეფრენით არა მხოლოდ კონვენციური ლექსი სარგებლობს, არამედ იგი ხშირად თავისუფალი ლექსის სტროფოდ-თა, ანუ ლექსის არათანაზომიერ გრაფიკულ მონაკვეთთა კომპოზიციურად შეკვრის საშუალებაცაა, თუმცა ლექსის ამ სახეობაში მანც სპეციფიკურად გამოიყენება და ამაზე ამჯერად სიტყვას არ გავაგრძელებთ, რომ ძირითად საკითხს არ ავცდეთ.

რეფრენი - უძველესი ძირებით ზეპირსიტყვიერ ხელოვნებას, მეტადრე სიმღერას, ლირიკას, როგორც სახიმღერო ტექსტს, უკავშირდება (სხვათა შორის, ინგლისურენოვან გარემოში სიმღერის ტექსტი დღემდე ლირიკად იწოდება). არსებობს მოსაზრება, რომ იგი ადრეული მაგური ტექსტებიდან იღებს სათავეს. ამ საკითხზე პირადად სხვაზე მეტი ნამდვილად არ ვიცი. ცალკე თემაა.

ახლა შევეცდები, ჩემი პერსევერირებული, ანუ აკვირებული ფრაზა ლექსში რეფრენად გამოვიყენო. მის რიტმულ ინერციას (5/2) ავგაო მთელი ლექსი და შემდგომ ვნახოთ, ძირითადად რა სახეობისა შეიძლება იყოს რეფრენი. სიტუაცია მე არ მომიგონია, ილია წვალობს და სიტყვებს არჩევს, როგორ ამცნოს გრიგოლ ორბელიანს ნიკოლოზ ბართაშვილის გარდაცვალების ამბავი. ასე იყო.

ლექსი ჯვარედინადაც გავრითმე, რათა შედარებით ხარისხიანი მაგალითი გვექონოდა:

ილიკო - გრიგოლ ორბელიანისადმი

„ჩვენი სიცოცხლე ტატო გარდაიცვალა განჯას“, ვერ გაგიმხილეთ, (რატომ?) ან უთქმელობა მტანჯავს.

ეული იყო, მარტო, არ გაუბრბოდა გარჯას, „ჩვენი სიცოცხლე ტატო გარდაიცვალა განჯას“.

გარდაიცვალა განჯას ჩვენი სიცოცხლე ტატო. ბრძოლაში დაიხარჯა უჩინო, უმანდატო...

გარდაიცვალა განჯას ტატო, სიცოცხლე ჩვენი, ო, რარიგ გაიტანჯა ცხოვრების განაჩენით!

სიცოცხლე ჩვენი ტატო გარდაიცვალა განჯას! ღმერთო, ჯვარო თუ ხატო, რა ფუჭად გაისარჯა!

ტატო, სიცოცხლე ჩვენი, გარდაიცვალა განჯას. მძიმე გვირგვინი შეენის, ვინლა დაუნყებს განსჯას!

ჩვენი სიცოცხლე ტატო გარდაიცვალა განჯას...

ლექსში მოკლე, შვიდმარცვლიანი, ჯვარედინად გართმული, ოთხ ტაქტზე აგებული, ანუ კატრენული სტროფები გვაქვს.

ბოლოს მთავრდება ნახევარი სტროფით - რეფრენით, რითაც დაიწყო.

საერთოდ, რეფრენი ლექსის კომპოზიციის აგების ყველაზე მარტივი და უღალატო ხერხია. ლექსს იმით ამთავრებ, რითიც იწყებ და, თუმცა პოეტურ ტექსტში სხვადასხვა ადგილას მოთავსებული ერთი და იგივე ფრაზა განსხვავებულ ფუნქციას, მნიშვნელობას, ყღერადობას, ინტონაციას და ა.შ. იძენს, თავი და ბოლო მანც იკვრება. ასეთ რეფრენს რკალურს უწოდებენ. არსებობს პარალელური რეფრენიც, რომელიც უბრალოდ, ყველა სტროფში ერთსა და იმავე ადგილას მეორდება. არაერთი მყარი სალექსო ფორმა, დასავლური თუ აღმოსავლური, იყენებს რეფრენს... თუმცა ამაზე საუბარი შორს ნაგვიყვანს, ჩვენს ტექსტს დავუბრუნდეთ: თუ ახლიდან გადავავლებთ თვალს, ვნახავთ, რომ ექვსივე სტროფში, ხან თავში, ხან ბოლოში ჩემი აკვირებული ფრაზა ზოგან უცვლელად, ზოგან შეცვლილად, სიტყვათა გადანაცვლებით მეორდება.

მე შევეცადე, იგი იმგვარად გამოვეყენებინა ლექსში რეფრენად, რომ, რაც შეიძლება, უკეთ წარმოემჩინა მისი შესაძლებლობები.

იმის მიხედვით თუ სად დგას რეფრენი, ცალკე სტროფად, სტროფში თუ მის გარეთ, როგორც ეს მე გავაკეთე ბოლოში, კონვენციურ ლექსში შეიძლება გვექონდეს: მთლიანი სტროფი-რეფრენი, სტროფშიდა და სტროფგარეთა რეფრენი, რომელიც შესაძლოა, რიტმულადაც განსხვავებულად და დანარჩენი ლექსისგან.

ჩვენს მაგალითში გვექნება ექვსი სტროფშიდა და ერთი ... სტროფგარეთაო ვერ ვიტყვით, უფრო ალბათ მოკვეცილი სტროფი გამოდის... ვთქვათ, რომ ეს არის მოკვეცილი სტროფი-რეფრენი.

რეფრენი შეიძლება ყველა სტროფში ერთსა და იმავე ადგილას იდგეს. ასეთ რეფრენს ეწოდება დაფიქსირებული რეფრენი. ჩვენს ლექსში ამისი საპირისპირო მაგალითი გვაქვს - ჩვენი რეფრენი ხან სტროფის თავშია, ხან ბოლოში, ანუ მოძრავრეფრენიანი ლექსი გვაქვს.

გარდა ამისა, რეფრენი შეიძლება უცვლელად მეორდებოდეს, შეიძლება მასში სიტყვები გადაადგილდებოდეს და, მეტიც, შეიძლება ჩანაცვლებაც ხდებოდეს სხვა სიტყვებით. უცხოურ ტერმინებს მეტისმეტად რომ არ მივყვით, ქართულად გვექნება უცვლელი რეფრენი და ცვლადი რეფრენი, რომელიც, თავის მხრივ, ორი სახეობისაა:

ა) დახურული, სადაც რეფრენშიდა ცვლილება ახალი ელემენტის შეუტანლად ხორციელდება და ბ) ღია, რომელშიც გარედან შეტანილი ელემენტი იკავებს ადგილს

მე ლექსში გამოვიყენე ცვლადი რეფრენის პირველი სახეობა - დახურული, რაც იმას ნიშნავს, რომ მხოლოდ წინადადებაში წევრთა გადანაცვლებას მივმართავ და მასში გარედან სხვა ცვლილება არ შემავსებს, მაგალითად, ხომ შეიძლება ასეც დამენერა:

„ყველას სიცოცხლე ტატო გამგზავრებულა განჯას“ ანუ რეფრენის სიტყვები „ჩვენი“ და „გარდაიცვალა“ ჩამენაცვლებინა სიტყვებით „ყველას“ და „გამგზავრებულა“).

რეფრენის ზოგიერთ თავისებურებაზე საუბარი იმით დავასრულოთ, რომ შესაძლოა, ლექსი ორ, იქნებ, მეტრეფრენიანიც იყოს.

მე ისევ ბართაშვილზე ფიქრმა წამიღო. რა ამოავსებდა უზარმაზარ, თეორ ლექსს ალექსანდრე ჭავჭავაძიდან იქნებ ილიამდე, ზამთრის ერთ საღამოს სტუდენტი ილია ეკატერინე ჭავჭავაძეს რომ არ სტუმრობოდა და მას არ ეჩვენებინა ამდენ ხანს შენახული, რუსეთში თან წაღებული ხელნაწერი რეველი ბართაშვილის ლექსებისა?

გვეცოდინებოდა დღეს ბართაშვილის არსებობის ამბავი?

და ვინ იცის, რამდენი ბართაშვილი გვყავს დაკარგული...

ხელგასანაწი:

აიღეთ რაიმე ცნობილი გამოთქმა, ანდაზა ან თქვენი საყვარელი ფრაზა, ან სულაც პირველივე გაგონილი სიტყვები, მოარგეთ ლექსის რიტმი და ააგეთ გამართული ლექსი.

ეცადეთ, სანყის ეტაპზე მეტი ყურადღება შინაარსობრივ მხარეზე გაამახვილოთ და მანცა-დამანცა ორიგინალურ რიტმსა და ჯვარედინ რითმებს ნუ გამოეკიდებით.

დასაწყისისთვის მარტივად სცადეთ, მერე, როცა გაინაფებით, თანდათან გაართულეთ ამოცანა, დაუკვირდით, როგორი რეფრენის გამოყენება დაგჭირდათ და როგორ. თუ ეს დავალება გადავიდათ, თავად გაართულეთ იგი ლექსის სხვა გამომსახველობით საშუალებებთან ახალ-ახალი მიმართებების შემოტანით.

3. „სასაფლაოს გაზაფხული“, ანუ როცა მეორე პირველია


ანა კალანდაძე ინტერვიუზე იშვიათად თანხმდებოდა. თითებზე ჩამოსათვლელია მის ინტერვიუთა საერთო რაოდენობა. იქნებ, ამიტომაც ყოველი მათგანი ცხოველი ყურადღების საგანი იყო.

გასულ საუკუნეში ერთ ინტერვიუში ჰკითხეს, თუ შეუცვლია როდესმე რაიმე უკვე გამოქვეყნებული ლექსის ხელახალი დასტამებისას.

ანამ უპასუხა, რომ მისი ლექსები ჯერ ზეპირად იქმნება და, როცა ქალაქზე გადააქვს, შემდგომ ალარაფერს ცვლის.

იგი რომ კრისტალური ადამიანი იყო და ტყუილს არაფრით იკადრებდა, ბევრი მტკიცება არ სჭირდება, მაგრამ ერთხელ ლადო ასათიანისადმი მიძღვნილი მისი ცნობილი ლექსი „სასაფლაოს გაზაფხული“ დამჭირდა, გადმოვიღე პირველი კრებული, რომელიც ბიბლიოგრაფიული იშვიათობაა (ანა კალანდაძე, ლექსები, სახელგამი, თბ., 1953), გადავთვალე ირე და... მეუცხოვა. ჯერ ჩემი მესხიერების ცდომილებას დავაბრალებე, ერთ-ერთ გვიან გამოცემულ კრებულში მოვიძიე იგივე ლექსი (ანა კალანდაძე, ლექსები, საბჭ. საქართველო, თბ., 1984, გვ. 74), შევუდარე და...

► დასასრული იმხანა



ფანაზიური ნიღსკლეპი პიპერბოლური ნინსრებით

„მეცმა სიშუენიერე მისი ხაზართა მეფესა ხაკანს,
მოგზავნა მოციქული და ითხოვა შუშან ცოლად
და უქადა შუელა სარკინოზთა ზედა...“
„ქართლის ცხოვრება“

„ქართველებისთვის ხაზართა ხაკანის სიძობას და მის
პირობას... მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და საგულისხმო
უნდა ყოფილიყო, მაგრამ სარწმუნოებრივ სიძულვილს
დაუხშირა ქართლის ერისთავის სახლობისთვის საღი
პოლიტიკური მსჯელობის უნარი...“
ივანე ჯავახიშვილი

თამაზ ბურჭულაძე

1

თვით ბედმა სვებედინს
„ისემც შენო,“ შებედა...
ერთ-ერთ ჩვენს ტრაგედიას
ესე გვიტორობს ლეგენდა;

არა ომის ხმაური,
სისხლის ზღვათა ღებანი –
მატრიმონიალური
ისანს მოდგა დესპანი....

„სალამი შენ თბილისო!
მშვიდობის ვართ ჩვენ მნდომი
გაუფალდეს, ინისლოს
ყველა გზა თქვენკენ ომის.


დაიფერფლოს დე, მტრობა
დღეის იქით ჩვენ შორის,
დერბენტს დადგა მხედრობა
მოისართა ჯიმ-ტომის.

თუ გენვევათ ბერძენი,
ან არაბი, აშარი,
არ ექნებათ დღე გრძელი,
ქართლს დაიცავს ხაზარი.

მკლავით, იგივე არკანით!
თავს მყრელი ვართ ნაცრისა...
დას სთხოვს ცოლად ხაკანი
ერისმთავარს ქართლისას!

აქ ხაკანზე მაუბრეთ
ფერხთ ალმასი აცვია!
არ ყოფნის ერთ საუზმედ
არც თართი და არც სვია!

ლხინი ვინ თქვა უთქვენოდ,
თქვენი ღვინოც გვწყურია!
თვალები დაუწყუნოთ
ავის მდომს და შურიანს.



მხატვარი ივანე ნიკოლაძე

ქორნილი ვქნათ ესეთი,
სიზმრად რო ვერ ისიზმრეს!
თქვენთან მტკვარზე, თვე ერთი...
ერთიც ჩვენთან ითილზე!

ამინ! დღეს და მერეთში
„ია-ვარდის კრეფანი“
გოგირდოვან თერმებში
გააქანეს დესპანი!

2
მაგრამ გთვალავს ეს ძერა –
სად წაუხვალ საით ზედს!
თბილისს, რაც კი ეწერა
იმაზედაც ერთით მეტს

ჭირს, განცდილს თუ უხილავს,
ისტორია მიათვლის,

ფანატიზმმა უყვილა
შუშანიკის შვილთაშვილს!

გაიოცა, გა-ცა-წყრა,
„ძმაო, უსმენ ბერ-ქოფაკს?
გიბრძანებით ან რა...
თქვენგან წყენად მეყოფა.

ხაზართ ტახტი, სრა-კარი
ურწმუნოთა ლაფია!
არ მიხსენოთ ხაკანი
თართისვიაყლაპია!“

ჭრეს, კერეს, ჭრეს... აუნყონ
რაც ინება თავებამ:
„ქალს არ სურსო, ყმავე უცხოვე,
თქვენკენ გამომგზავრება,

ძალით კი ვერ ვაძალებთ,
გერი იყოს, არ თუ და...“

ან დიდ ხაკანსაც, ბრძანეთ,
ცოლი ძალით რად უნდა?

ძალადობას გვიკრძალავს,
ვთქვათ... ემანსიპაცია!
თორემ კოშკში ვინ მალავს
ქალს გასათხოვარს, ძია...“

„რა... რა ბრძანეთ... ღვთის ნებით
მაგის ცოდნაც გეყოფათ,
არად გინდათ მისნები,
გაასწარით ეპოქას!

ერთი ისიც ხამს, მითხროთ
რაც უმცარს მაცვიფრებს:
ქართლი უნდა გასწიროთ,
აპყოლიხართ კაპრიზებს.

პრინციპების დიდება
ლხინის დროს ვთქვათ, ვერძებით,
დღეს თქვენ ეს არ გიხდებათ...
სად მირეკავთ-ვერ ხვდებით?

ეს... ემანსიპაცია
დიდებული რამ არი!
მაგრამ ხისტი კაცია
ცოტა, ჩვენი ხაკანი...“

ჯერ მე მომკლავს: „ეგ სიტყვა
შენვე მოიგონეთ!
სცადე, დესპანმა-ვირმა
ხერხი, სხვა რამ ღონეთ?“

თქვენ რას ნაღვლობთ ამ ზვარაკს
სხვის სისხლს დაღვრილს სხვის
ხელით...
ვთქვათ, მე არც ვარ სათვალავს...
მაგრამ, აღარც კი გველით?

მოვალთ! ადრეც გვილახავს
გზები თქვენკენ სავალი!
სწირავს ქართლს და სწირავს ხალხს
ქალიც, ერისმთავარიც...“

3

რაც თქვა ყველა გამართლდა!
არ მოხვლია შეცდომა...
რისხვას ზეცისას ჰგავდა
ხაზარეთის მხედრობა.

კენტავრს ეცვა რვალ-რკინა
ქაჯის ნაქსოვ-ნაქები...
ჯერ კახეთი დაცხრილა...
ისრის გრივალ-ქარებით.

მოდოდა მტკვარალმა
ცეცხლის წარღვნა, სისხლის ზღვა!
თუმც, იომა ქალაქმა,
ვერ გაუძლო, თბილისმა...“

შემოღვნა! გათელა,
ბავშვი, ქალი, მსცოვანი...“

ხანძრად ალამ-ათენა
თერმი გოგირდოვანი.

რასაც მისწვდა, ნაბილწა!
იავარქმნა მხეცურად,
ვერ იტყვდა მკვდარს მინა,
ქართლს სუღარა ეხურა...“

ლეგენდადაც ძნელია,
ხვედრად-ხმა უსაძლისო,
რაც რომ ჩაუდენია
დანუხებულ სასიძოს!

ერისმთავარმა თითქოს
ნახა ბორკილი მოკლე...
რა მოგვო ქალიც გონს –
მოისწრაფა სიცოცხლე.

მან სიკვდილის სამსალა
ცრემლის გზაზე დაცალა...
ლეგენდაა? მთლად არა –
მოხდა! მაგრამ, არც არა...“

4

ვერც ფორეჯი მოყირჭდა,
ვერც ქორნილი გამართა,
ვერ გაკეთილშობილდა
დინასტია ხაზართა.

ვერ შეერთო პირიმზე
საარაკოდ ლამაზი!
მაგიერში, ითილზე
სხვა წაასხა ათასი...“

თუ არ მომდევს ძალიც და
იმედის მაქვს რა, რისი...
გენოფონდად დამიჯდა
ერთი გოგოს კაპრიზი!

თბილისს უწნდა იარად
ფარსიც, ვით ტრაგედია...
ჩემში სხვა რა ყრია რა,
ჩემთვის-ესეც მეტია!

საუკუნე ცამეტი
გადამთიელს ვემდური...
ბრალი რისია მეტი:
პოლიტიკის ბეცურის.

თუ ხაზართა მძლე ლაშქრის
თუ, ლამაზთა სიანწხლის...
და ამტანი ყველაფრის
ისტორია მიათვლის!

მიზეზთ განსჯაზე კი სდუმს
ჭორიკანა, აშჯერად...
გონიერმა უგუნურს
„ვაი შენ“ ვერ აჯერა

და ხმამალა ფიქრობდა
რომ ხაკანიც... კაცია...
ჩემთან ძვირზეძვირობდა
ეს ემანსიპაცია!

მერაბ სინარულიძე

ყვოცხიასცე, ყვოცხიასცე!

ეკლესიასტე, ეკლესიასტე!
არაფერია მზის ქვეშ სიახლე.
ის რაც დღეს ხდება, ხდებოდა ადრეც
ჩვენ კი ბევრი რამ ცუდი ვიკადრეთ!

გზა ისტორიის არის სპირალი
და შეცდომების გამეორება!
საქართველო კი მუდამ მტირალი,
არ ღალატობდა ამ თეორემას.

რადგან შეცდომებს ბოლო არ უჩანს,
აქ დამნაშავე ალბათ ხალხია!
დღეს სტალინის და ბერიას ქუჩას,
მაშ, სხვანაირად აბა რა ჰქვია?

რუსეთსაც უდევს გვამი ლენინის,
ხალხის სიბრყვე გამოვლენილი.
რუსს მუდამ სჭირდა ციებ-ცხელება,
ამიტომ პუტინს ვეღარ ელევა.

ამერიკასაც სურს და ჰგონია,
რომ პირველია, ჰეგემონია

და ამიტომაც დედამინაზე,
დღემდე დავა და დღემდე ომია.
ეკლესიასტე, ეკლესიასტე!
ხალხმა მიჰგვარა ქრისტე პილატეს!

და როგორც დავა ეკლექტიკაზე
კაცობრიობა ბრუნავს სპირალზე.

მე ეს შეგრძნება, ხანდახან მსტუმრობს,
გამოუცნობი ნეტარებისა!
სურს ერთგულება დამიდასტუროს,
მისი, რაც დღემდეც კი არ მეღირსა!

მიცოცხლებს ჩემი ბავშვობის წლებს,
გულუბრყვილოდ რომ მწამდა ბედისა.
იმას, რაც გულში ღრმად ჩავინერე
და ვერ წამართვა დრომ ნამებითაც!

სიტყვით ეს გრძნობა ვერ გამოითქმის,
გონებას უჭირს მასში გარკვევა,
მაგრამ მე ვიცი, ნამდვილად ვიცი,
რომ ის თან ახლდა ჩემს დაბადებას.

ხოლო როს მოვა ჟამი წასვლისა,
ის მესტუმრება ალბათ მაშინაც

და იქნებ ბოლოს მაინც ამიხსნას,
რად გამანბილა ასე საშინლად!

ლურჯული მწვანე ხეით

ჩვენთან არს ღმერთი?! საკითხავი, აი, ეს არის!
მაშ ტაძრის გვერდით, სადაც წვანან სულით ნეტარნი,
ყაჩაღ არსენას მონუმენტი ვის აუგია?!

წითელ პარასკევს ის არ იდგა შარაზე მთვრალი?
წითელ პარასკევს ღვინოს არ სვამს თვითონ ურიაც!
ჩვენთან არს ღმერთი?! მაშ, დიდ მოურავს,
ვის ქართლ-კახეთი სულ მთლად მოუსრავს,
სამჯერ რჯულშეცვილს, ყველგან განდევილს,
რატომ დაუდგით დიდი კვარცხლბეკი?!

ბოლოს კი ერთიც, ვისაც ჩვენ ვეტრფით
და ყვავილს ვუფენთ ყოველდღე ფერხითთ,
ქართლის შუაგულში, ვით ევერესტი,
დგას ძეგლი ცოდვით ყველაზე მეტის.

ხალხს კი, ვისაც ჰყავს მსგავსი კერპები,
მე ვეკითხები: – შენთან არს ღმერთი?!

პასუხს კი გამცემს ექო დეკემბრის
და ნატყვიარი თეთრი ქაშვეთი!

მთავარი რედაქტორი **ივანე ამირხანაშვილი**
მთავარი რედაქტორის მოადგილე **ელისაბედ მატრაველი**
ფინანსური მენეჯერი **ქეთევან დამატრაველი**
კომპიუტერული უზრუნველყოფა: **ბაღა გველსიანი, მზია გარბაძე**
დიზაინერ-დამკაბადონებელი, გავრცელების სამსახური **მოდელიზარ მანსკი**

„ლიტერატურული საქართველო“ საბანკო ანგარიშის ნომერი:
საქართველოს ბანკი, GE43BG000000161665862

გაგონის პარამეტრი



დაბეჭდილია შპს
„საარის“ სტამბაში
მისამართი: თბილისი,
თვედორე მღვდლის 57

ISSN 1987-9806
771987980005

ზანდუკელის №1; ტელ.: 293 69 77 E-Mail: litsartvelo@yahoo.com